პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 16 აპრილი, 1946 წ. № 77 (7550). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

პროფესიული კავშირები ახალი ამოცანების გადაჭრის წინ. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

სადილი უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან უკრაინაში იუნრრას მუდმივი მისიის მეთაურის ბ-ნ მარშალ მაკ-დაფის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ჟუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

ი. ჭანტურია — გამოვიყვანოთ ციტრუსოვანთა ახალი ნამრეწველო ჯიშები (მე-2 გვერდი).

იასე ცინცაძე—იმერეთ-რუსეთის ურთიერთობიდან. (მე-3 გვერდი).

„მეტი სტახანოვური ჰექტარები“ (მე-3 გვერდი).

გაზაფხული ფუნიკულორის კლატოზე (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

პროფესიული კავშირები ახალი ამოცანების გადაჭრის წინ

მუშაობა დაამთავრა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XV პლენუმმა. პლენუმმა განიხილა პროფესიული ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით. ეს ამოცანები განსაკუთრებით პასუხსაგებია.

საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ახალ სტალინურ ხუთწლედს, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის დიად პროგრამას. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება დაიწყო. ყოველი მხრიდან მოდის ცნობები სოციალისტური შეჯიბრების ახალი აზვირთების შესახებ. ჩვენი ქვეყნის მშრომელნი აღსავსენი არიან მზადყოფნით მთელი თავისი შემოქმედებითი ძალები გაშალონ და თავისი პირველი წვლილი შეაქვთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიად საქმეში.

ახალი ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლა პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა პროფკავშირები—მასებთან პარტიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ამძრავი ღვედი—თავის რიგებში აერთიანებენ მილიონობით მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც აღსავსენი არიან კეთილშობილური პატრიოტული მისწრაფებით, რაც შეიძლება ძალე მოიშუშონ ომით მოყენებული ჭრილობები, უფრო მაღლა ასწიონ მრეწველობის ყველა დარგის მუშაობის დონე.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში 36 პროცენტით და მშენებლობაში—40 პროცენტით. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ყოველთვის ისწრაფოდა შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ, ხელადვა რა ამაში ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების ზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეს მისწრაფება არაჩვეულებრივად მკაფიოდ გამოვლინდა ომის წლებში, როცა თვითეული მუშის გამომუშავება გაიზარდა 40 პროცენტით, ხოლო მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის, მაგალითად, საავიაციო, სატანკო და სხვა,—70-90 პროცენტით.

ახლა, ომისშემდგომ პირობებში, ჩვენ ახალი ნაბიჯი უნდა გადავდგათ წინ და მნიშვნელოვნად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობასა და მშენებლობაში. ამის ძირითადი წყაროა ახალი ტექნიკის გამოყენება, შრომის მექანიზაცია, მუშების კვალიფიკაციის ამაღლება. უნდა გვახსოვდეს, რომ ომის დროს მუშათა კლასი შეივსო ახალი, ჯერ კიდევ ტექნიკურად საკმაოდ მოუმზადებელი კადრებით. უნდა დავეხმაროთ ამ კადრებს ტექნიკის, პროფესიული ოსტატობის დაუფლებაში. დავეხმაროთ მათ გახდნენ მაღალკვალიფიციური მუშები.

ჩვენი მრეწველობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ძირითადად სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა, ახლა გადადის ახალი, სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე. ამ პროდუქციის გამოშვების უსწრაფესად ათვისება აგრეთვე შეიცავს შრომის ნაყოფიერების ზრდის ძნიშვნელოვან რეზერვებს. მაშასადამე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ წელს, როგორც ამას მოითხოვს კანონი ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ყველგან დამთავრდეს მრეწველობის ომისშემდგომი გარდაქმნა.

ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როცა დაბალი ნაყოფიერება წარმოადგენს წარმოებაში შრომის ცუდი ორგანიზაციის პირდაპირ შედეგს, — დიდი მოცდენების, მექანიზმების მეტად არადამაკმაყოფილებელი გამოყენების შედეგს. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმზე მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მუშახელის არარაციონალურად გამოყენებას, წარმოებაში დიდ დანაკარგებს, რაც მექანიზაციის შეუფასებლობის შედეგია.

ქვანახშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება უფრო დაბალია, ვიდრე ომამდე იყო. ამავე დროს ბევრ შახტში მექანიზმები ცუდად არის გამოყენებული. მაგალითად, კომბინატ „დონბასანტრაციტის“ შახტებში შემოწმების ერთ-ერთ დღეს, რაც მიმდინარე წლის თებერვლის დამდეგს ჩატარდა, უმოქმედოდ იყო 99 საყელავი მანქანა არსებული 272-დან, 218 საკონვეიერო ამძრავიდან არ მუშაობდა 52, 56 ამხვეტი ტრანსპორტიორიდან იდგა 28, 38 გადამტვირთავიდან გამოუყენებელი იყო 28. მოქმედი საყელავი მანქანების ნაყოფიერება ამ კომბინატის შახტებში ომამდელზე ძნიშვნელოვნად დაბალია.

მოცდენები, წარმოების მეთაურების უუნარობა სამუშაო დროის დიდ დანაკარგს იწვევენ. ბურღვის ოსტატის რასულოვის ცნობილმა სტახანოვურმა ბრიგადამ (ტრესტი „ბუზოვნინეფტი“, ბაქო), ერთხელ ჭაბურღილის ბურღვა ვადაზე 28 დღით ადრე დაამთავრა, ხოლო შემდეგ 34 დღის განმავლობაში ელოდა, სანამ მას ახალ ჭაბურღილს მისცემდნენ საბურღავად. მბურღავთა ბრიგადების მოცდენა ნავთის სარეწებზე იშვიათი მოვლენა როდია.

ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია რატომღაც ურიგდება ასეთ ფაქტებს, დუმილით უვლის მათ გვერდს. პროფესიულმა კავშირებმა უნდა მიაღწიონ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ახალი ხუთწლედის ფართო გეგმები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მექანიზაციის უაღრესად ფართო და ყოველმხრივი დანერგვის პირობით. ახალი ხუთწლიანი გეგმის ყველა ძირითადი კარი ამ იდეით არის გამსჭვალული. პროფკავშირები მოწოდებული არიან ყოველმხრივ გაანავითარონ მუშების, ინჟინრების, მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივა, ხელი შეუწყონ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წარმოების ზრდას, იბრძოლონ მექანიზაციის შეუფასებლობის, ახალი ტექნიკის უგულებელყოფის წინააღმდეგ.

ჩვენს მრეწველობაში ათასობით და ათასობით არიან ნიჭიერი ადამიანები, გამომგონებლები, წარმოების რაციონალიზატორები. პროფკავშირები მოვალენი არიან იცნობდნენ ასეთ ადამიანებს, ეხმარებოდნენ მათ თავიანთი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების პრაქტიკულად განხორციელებაში. თუ ესა თუ ის საწარმოო ტექნიკური სიახლე ზრდის გამომუშავებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, — იგი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინერგოს წარმოებაში. ეს უნდა გაკეთდეს გაუჭიანურებლად, ბიუროკრატულ დაბრკოლებათა აღმოფხვრით, კონსერვატორების, უსულგულო ადამიანების საწინააღმდეგოდ, რომლებიც აბრკოლებენ ნოვატორების ინიციატივას.

საბჭოთა პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ზრუნვა მუშების, მოსამსახურეების, ინჟინრების, ტექნიკოსების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. პროფკავშირები ყოველდღიურად უნდა იხილავდნენ ხელფასის საკითხებს, თვალყურს ადევნებდნენ შრომის კანონმდებლობის, უშიშროების ტექნიკის დაცვას და სხვა. პროფკავშირების მუშაობის დიდი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უბანია მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ბოლო უნდა მოვუღოთ უვარგის პრაქტიკას, როცა ძთავრობის მიერ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ნაწილი გამოუყენებელი რჩება. პროფესიული კავშირები მოვალენი არიან სასტიკად ადევნონ თვალყური საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულებას.

დიდი სარგებლობა არ ექნება, როცა პროფკავშირის ესა თუ ის ცენტრალური კომიტეტი წლის ბოლოს შეაჯამებს რომელიმე საწარმოში საბინაო მშენებლობის უბადრუკ შედეგებს. არა წლის დამლევს, არამედ საძშენებლო სეზონის დაწყების წინ და მაშინ, როცა გაჩაღებულია სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა ოპერატიულად ვადევნოთ თვალყური სამუშაოების მიმდინარეობას, და თუ წარმოიშვა ბინების მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის საფრთხე, ავტეხოთ განგაში, დავრაზმოთ ყველა საჭირო რესურსები და მივაღწიოთ გეგმის შესრულებას!

პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ზრუნვა ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის განვითარებისათვის, დამხმარე მეურნეობების, სასადილოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, უნდა განიხილოს ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, სწრაფად აღადგინონ სანატორიუმებისა და დასაკვებელი სახლების ქსელი.

მშრომელი მასების აქტივობა დღითიდღე იზრდება, მუშათა კლასი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ისწრაფვის წინ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი ზრდის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაკენ. ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია და უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა მიმდინარე წლიური და კვარტალური გეგმების შესრულება, რისგანაც, საბოლოო ანგარიშით, მივიღებთ ხუთწლედისათვის ბრძოლის საერთო შედეგს. რაც უფრო ფართოდ და კონკრეტულად გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება, რაც უფრო ქმედითად და ოპერატიულად უხელმძღვანელებენ პროფკავშირები ამ შეჯიბრებას, მით უფრო მეტი იქნება ჩვენი წარმატებები. ყოველდღიურად და ყოველთვიურად, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ საწარმოო დავალებები — ასეთია დღევანდელი დღის საბრძოლო დევიზი. პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ შესძლებენ ისინი დაეხმარონ ბოლშევიკურ პარტიას ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად მუშათა კლასის დარაზმვაში. ეს არის საბჭოთა პროფკავშირების საპატიო როლი!

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმმა მოუწოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ბოლშევიკების პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების ძლევამოსილი დროშა. მუშათა კლასი იბრძოლებს იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შეასრულოს ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმა!

„პრავდის“ 14/IV მოწინავე

,,ელექტროსიგნალმა“ დაიწყო რადიომიმღებთა გამოშვება

ვორონეჟი, 15 აპრილი. (საკდესი). გაცოცხლდა ნანგრევებიდან აღდგენილი ვორონეჟის ქარხანა „ელექტროსიგნალი“. იმ სოფლებისა და დაბებისათვის, რომლებსაც ელექტროსადგურები არა აქვთ, საწარმომ დაიწყო ბატარიიან რადიომიმღებთა გამოშვება.

დამთავრდა მზადება ახალ რადიომიმღებ „როდინას“ გამოსაშვებად. მაისის პირველ დღეებიდან დაიწყება მისი მასობრივი გამოშვება. 1947 წელს ქარხანა დაიწყებს თანამედროვე რადიომიმღებთა მასობრივ გამოშვებას, რომლებიც ელექტროქსელიდან იკვებებიან. 1950 წლისათვის იგეგმება 250 ათასი ასეთი მიმღების გამოშვება.

საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკებს გადაეცათ საპატიო სიგელები

ამა წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადასცა რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებს. რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 5 მარტის ბრძანებულებით შემოქმედებითსა და შრომითს მოღვაწეობაში მოპოვებული წარმატებისათვის მიეკუთვნათ საპატიო წოდებანი.

საპატიო სიგელები ძიღეს საქართველოს სსრ სახალხო მხატვრებმა უ. ჯაფარიძემ, ი. ნიკოლაძემ და მ. თოიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ს. ზაქარიაძემ, ნ. ბერიოანმა, ა. სმირანინმა, ნ. ხარაძემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ე. ახვლედიანმა, კ. მერაბიშვილმა, კ. გეგეჭკორმა და სხვებმა—სულ 3 სახალხო მხატვარმა, 28 ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ და 29 დამსახურებულმა არტისტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცა აგრეთვე კავშირგაბმულობის 12 მუშაკს, მათ შორის არიან: თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის სადისპეტჩერო კვანძის უფროსი კ. ვაშაკიძე, მთავარი მექანიკოსი ს. დაუშვილი და სხვები.

საპატიო სიგელების გადაცემის შემდეგ ამხ. გ. სტურუამ სიტყვით მიმართა დაჯილდოებულთ და შემდგომი წარმატება უსურვა მათ მუშაობაში.

• • •

იმავე დღეს ამხ. სტურუამ „გშირი დედის“ ორდენი გადასცა მრავალშვილიან დედებს კ. ბარამიძეს (მახარაძის რაიონი), საკინა ბაირამ ყზის (ბოლნისის რაიონი) და მ. ბიკოვას (სიღნაღის რაიონი). (საქდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია

13 აპრილს მოსკოვიდან პრაღას გაფრინდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია საგარეო ვაჭრობის მინისტრ ბ-ნ გ. რიპკას მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს: საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ მ. რ. კუზმინმა, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა პ. ნ. კუმეკინმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ჩეხოსლოვაკიაში ი. ვ. ბაკულინმა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო ნაწილის უფროსმა ვ. გ. კირილოვმა.

დელეგაცია აგრეთვე გააცილეს: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩმა ბ-ნმა ი. გორაკმა და საელჩოს წევრებმა. (საკდესი).

რუმინეთის სარეპარაციო გადასახდელთა ვადის გაგრძელება

საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა რუმინეთის მთავრობის თხოვნა სარეპარაციო გადასახდელთა ვადის გაგრძელების შესახებ იმ ვარაუდით, რომ სარეპარაციო გადასახდელები საბჭოთა კავშირს რუმინეთმა გადაუხადოს არა ექვსი წლის განმავლობაში, არამედ რვა წლის განმავლობაში. (საკდესი).

ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნა მინისტრთა საბჭოდ

ძაუჯიკაუ, 15 აპრილი. (საკდესი). ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი სახალხო პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოდ და რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების სამინისტროებად გარდაქმნის შესახებ.

საზეიმო საღამო ვენაში წითელი არმიის მიერ მისი განთავისუფლების წლისთავის აღსანიშნავად

ვენა, 13 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის ავსტრიის საზოგადოებამ 11 აპრილს საზეიმო საღამო გამართა წითელი არმიის ნაწილების მიერ ავსტრიის დედაქალაქ ვენის განთავისუფლების წლისთავის აღსანიშნავად.

საღამოს დაესწრნენ მარშალი კონევი, გენერალ-პოლკოვნიკი ჟელტოვი, სსრ კავშირის პოლიტიკური წარმომადგენელი ავსტრიაში კისელიოვი, საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდალი გენერალი ბეტუარი და მოკავშირეთა სარდლობის სხვა წარმომადგენელნი.

საღამოზე მივიდნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი რენერი, ავსტრიის მთავრობის მთელი შემადგენლობა კანცლერ ფიგლის მეთაურობით, ვენის ბურგომისტრი კერნერი, ავსტრიის პროვინციულ მთავრობათა ხელმძღვანელები, ავსტრიის საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი.

მას შემდეგ, რაც რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ისტორიული ბრძანება ვენის განთავისუფლების გამო, შესრულებულ იქნა ავსტრიელ კომპოზიტორ ფრანგ ხალვაფეიის მიერ დაწერილი ჰიმნი წითელი არმიის მიერ ავსტრიის დედაქალაქის განთავისუფლების წლისთავის აღსანიშნავად.

საზეიმო სხდომა გახსნა ავსტრიის განათლების მინისტრმა ფელიქს ჰურდესმა. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა პრეზიდენტმა კარლ რენერმა.

„აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან სამმაგი დარტყმით, — სთქვა რენერმა, — ჰიტლერელთა ჯარები დამარცხებულ იქნენ მანამდე, სანამ ისინი შესძლებდნენ გადაექცეოდა ვენა ბრძოლის ველად და თავიანთი უანრო ნგრევის მსხვერპლად. თუ ვენამ დანგრეული ქალაქების ბედი არ გაიზიარა, ამას იგი უნდა უმადლოდეს წითელი არმიის სარდლობის არა მარტო მამაცობასა და სისწრაფეს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მის ოსტატობას“. რენერმა აღნიშნა „საბჭოთა სარდლობის გაგებითა და მოთმინებით აღსავსე დახმარება ავსტრიის სახელმწიფოებრიობის აღდგენაში“ და დასასრულ მთელი ავსტრიის სახელით უდიდესი მადლობა უძღვნა წითელ არმიას.

საპასუხო სიტყვა საბჭოთა სარდლობის სახელით წარმოსთქვა ვენის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილემ საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-მაიორმა პანჩენკომ.

საზეიმო სხდომა დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჰიმნით, რომელიც შეასრულეს ვენის სიმფონიურმა ორკესტრმა და სახელმწიფო ოპერის გუნდმა.

იაპონიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის განცხადება

ტოკიო, 9 აპრილი. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის საააგენტო იუწყება, 8 აპრილს კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა მიამოტომ, რომელმაც გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური მდგომარეობა არჩევნების შემდეგ, ხაზგასმით აღნიშნა იაპონიაში კონსერვატიული რეაქციული ელემენტების გავლენისადმი არასერიოზული დამოკიდებულების საშიშროება და მიუთითა, რომ თუ ეს გავლენა პარლამენტში ყველაზე ძლიერი იქნება, იაპონია ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას წააწყდება დემოკრატიზაციის გზაზე. ამის შედეგად საჭირო გახდება პარლამენტის დათხოვნა, რათა მოშორებულ იქნან ანალი ქვედა პალატის რეაქციული წევრები. არ შეიძლება დავუშვათ, რომ რეაქციულმა კონსერვატიულმა ელემენტებმა სიდეხარას კაბინეტთან ერთად სცადონ თავიანთი გავლენის შენარჩუნება. დემონსტრაციისათვის სროლის ატეხა, რაც 7 აპრილს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან მოხდა, საკმაოდ ამტკიცებს იმას, რომ სიდეხარას კაბინეტი ხალხისადმი მტრული კონსერვატიული რეაქციული ძალების ავანგარდში დგას.

კომენტარი გაუკეთა რა ლიბერალური პარტიის ლიდერ ხატოიამას განცხადებას რეაქციონერებისა და სოციალისტური პარტიის შემარჯვენე ელემენტებისაგან კოალიციური კაბინეტის ნავარაუდევი ჩამოყალიბების შესახებ, მიამოტომ განაცხადა, რომ ასეთი სიტუაცია შეუძლებელი როდია. მიამოტომ გააკრიტიკა სოციალისტების პოზიცია და განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ ხალხის წინაშე აცხადებენ, კომუნისტებთან ერთად დემოკრატიისათვის ებრძოლებთო, მაგრამ ფაქტიურად სოციალისტებმა ვერ გაამართლეს მასების იმედი. მიამოტომ სურვილი გამოსთქვა, რომ სოციალისტური პარტია დარჩეს ერთგული თავისი განცხადებისა, რაც გააკეთა 7 აპრილის დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდა ლოზუნგით „დავამხოთ სიდეხარას კაბინეტი“, აგრეთვე თავისი განცხადებისა, რომ იგი არ შეჰქმნის კოალიციურ მთავრობას ლიბერალებთან ერთად.

თეირანის გაზეთი ირანის სახალხო პარტიის ხელმძღვანელებთან ინგლისის პარლამენტის დეპუტატების საუბრის შესახებ

თეირანი, 11 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „რახბარში“ 6 და 8 აპრილს დაბეჭდილია მიმართული ირანის სახალხო პარტიის ხელმძღვანელებთან ინგლისის პარლამენტის დეპუტატების ფუტისა და ჰედის საუბრისა, რომელიც მოხდა 1 აპრილს სახალხო პარტიის თეირანის კლუბში.

შეკითხვაზე, თუ ბრძოლის რა მეთოდით სურს სახალხო პარტიას მიაღწიოს თავის მიზნებს, სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა კეშავარზმა უპასუხა: „სპარლამენტო გზით“. შეკითხვაზე დამფუძნებელი კრების შესახებ კეშავარზმა უპასუხა, რომ, რამდენადაც ირანის კონსტიტუცია არასავსებით შეესაბამება თანამედროვე პირობებს და ზოგიერთი მხრივ არ შეესაბამება გაერთიანებული ერების წესდების მოთხოვნებს. ამიტომ დამფუძნებელი კრების მოწვევა აუცილებელია.

შეკითხვაზე აზერბაიჯანის დემოკრატიულ პარტიასთან სახალხო პარტიის ურთიერთობის შესახებ კეშავარზმა განაცხადა, რომ სახალხო პარტია რაიმე სახით არ არის დაკავშირებული დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ ფაქრობს, რომ აზერბაიჯანის მოძრაობა დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე მოძრაობაა და რომ იგი წარმოიშვა ირანის უკანასკნელი მთავრობების დიქტატურის მხრივ წარმოებული შევიწროების პასუხად. კეშავარზმა განაცხადა, რომ ამჟამად აზერბაიჯანის სახალხო პარტიას თავისი ორგანიზაცია არა აქვს, ვინაიდან დემოკრატიული პარტიის შექმნის შემდეგ მისი ორგანიზაცია ამ პარტიას შეუერთდა.

უპასუხა რა შეკითხვაზე, თუ სად არიან პარტიის ორგანიზაციები, კეშავარზმა განაცხადა, რომ სახალხო პარტიის ორგანიზაციები არიან ირანის ყველა რაიონში და ქერმანსა და ბუზესტანშიც კი. მანამდე, სანამ მთავრობა შეიარაღებული ძალით არ აბრკოლებდა პარტიის მუშაობას, პარტიის ყველაზე დიდი ორგანიზაცია იყო სამხრეთ ირანში—ისფაჰანში. სახალხო პარტიის კანდიდატმა ფედაკარმა მე-14 მეჯლისის არჩევნების დროს იქ მიიღო ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა ირანში. ადგილობრივ პარტიის ორგანიზაცია არალეგალურად მუშაობს, ვინაიდან ნავთის კომპანიის ადმინისტრაცია სახალხო პარტიის წევრებს სამუშაოდან ითხოვს.

შეკითხვაზე, თუ რა პოზიცია უკავია სახალხო პარტიას ნავთის საკითხში, დოქტორმა ქიაურამ უპასუხა, რომ ირანს, სამწუხაროდ, თვითონ არ შეუძლია მოაწყოს თავისი ნავთის ექსპლოატაცია და ამიტომ იძულებულია უცხოეთის კომპანიების დახმარებას მიმართოს ამ საქმეში. მაგრამ კონცესიები ისეთი პირობებით უნდა გაიცეს, რომ მათ არ მოჰყვეს ირანის დამორჩილება. ქიაურამ განაცხადა, რომ სახალხო პარტია წინააღმდეგია ისეთ სახელმწიფოებს მიეცეს კონცესიები, რომლებსაც სურთ ირანის ექსპლოატაციის მიზნით მიაღონ ეს კონცესიები. მან რწმენა გამოსთქვა, რომ სსრ კავშირი, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგია, დახმარებას გაუწევს ირანს მის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებაში.

საპროტესტო მიტინგი ლონდონში კვიპროსის პროფკავშირების ლიდერთა დევნის წინააღმდეგ

ლონდონი, 12 აპრილი. (საკდესი). 12 აპრილს საღამოს ლონდონში ვესტმინსტერის ცენტრალურ დარბაზში შესდგა საპროტესტო მიტინგი კუნძულ კვიპროსის პროფკავშირთა 18 ლიდერის დაპატიმრებისა და საპყრობილეში მოთავსების წინააღმდეგ. სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის ნაციონალური საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე ეაიტმა მიტინგს მონაწილეთ უამბო, რომ დააპატიმრეს და ამა წლის 21 იანვარს გაასამართლეს სრულიად კვიპროსის პროფკავშირთა კომიტეტის ლიდერები; ეს კომიტეტი წარმოდგენილი იყო შარშან პროფკავშირების ორ საერთაშორისო კონფერენციაზე ლონდონსა და პარიზში, მაგრამ იგი ინგლისის სასამართლომ პროცესის დროს უკანონოდ სცნო. თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა ინგლისის პროფკავშირის წარმომადგენელმა ხელჩერმა წარმოსთქვა სიტყვა ინგლისის კოლონიებში ჩაგვრის შესახებ. მან განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა ინგლისის პროფკავშირების თვითეულმა წევრმა, რომელიც მხარს უჭერს ლეიბორისტულ მთავრობას, უნდა იკითხოს: საით მივდავართ ჩვენ, რა განსხვავებაა კონსერვატიული და ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკას შორის.

უელსის მაღაროელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ არტურ ჰორნერმა თავის სიტყვაში წინადადება წამოაყენა, რომ პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციამ დააყენოს საკითხი, რომ კვიპროსის პროფკავშირთა წინააღმდეგ წარმოებული დევნა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობას.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა. მან სთქვა, რომ კვიპროსის პროფკავშირების ლიდერთა დაპატიმრებისათვის პასუხისმგებელია ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც დღეს შესაძლებელს ხდის ინგლისელი ფაშისტების აქტივობას. „ინგლისელმა მუშებმა ისეთივე დემოკრატიული უფლებები უნდა მოითხოვონ ინგლისის კოლონიათა მუშებისათვის, როგორითაც თვითონ ისინი სარგებლობენ. მეორე მოთხოვნა უნდა იყოს სამხრეთიდან და კვიპროსიდან ინგლისის ჯარების გამოწვევა“.

გარდა ამისა, მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს რეჯინალდ ბრიჯერმანმა და პარლამენტის წევრმა დ. ნ. პრიტმა. მიტინგის სახელზე ბევრი დეპეშა მოვიდა ინგლისისა და კვიპროსის პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე საზოგადო მოღვაწეებისაგან, მათ შორის პარლამენტის წევრების ეაიტის, სოლის, ლორდ სტრაბოლჯისა და სხვებისაგან.

ჩენ გუნ-ბოს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს

ლონდონი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, ჩინეთის მარიონეტული მთავრობის იაპონური ოკუპაციის დროის ყოფილ პრეზიდენტს ჩენ გუნ-ბოს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს ღალატისათვის. როგორც მოსამართლემ განაცხადა, სავსებით დამტკიცდა, რომ ჩენ გუნ-ბოს და მისმა წინამორბედმა ერთად მოაწყეს მთავრობა, რომელიც ჩინელი ხალხის ინტერესთა საზიანოდ მოქმედებდა.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ურთიერთობისათვის

ამა წლის 12 აპრილს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და მოსკოვში ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაციას შორის წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირის და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობების შეთანხმება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

შეთანხმება განსაზღვრავს ურთიერთმიწოდების განხორციელების პირობებს და სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ფართო საქონელბრუნვის განვითარების დასაწყისი უნდა გახდეს.

შეთანხმება დადებულია ერთი წლით, ხოლო შესაძლებელია მისი მოქმედების განგრძობა შემდგომი დროისათვის.

ამავე დროს ხელმოწერილ იქნა ოქმი ომამდელი სავაჭრო ოპერაციებით დაუმთავრებელი ურთიერთანგარიშსწორების მოგვარების საკითხზე.

შეთანხმებასა და ოქმს ხელს აწერენ: საბჭოთა მთავრობის სახელით—საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სახელით—საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი რიპკა.

სადილი უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან უკრაინაში იუნრრას მუდმივი მისიის მეთაურის ბ-ნ მარშალ მაკ-დაფის პატივსაცემად

კიევი, 13 აპრილი. (საკდესი). გუშინ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა უკრაინაში იუნრრას მუდმივი მისიის მეთაურის ბ-ნ მარშალ მაკ-დაფის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ბ-ნი მარშალ მაკ-დაფი და მისიის წევრები ბ-ნები უაიტი, ფიშერი და ნეიმარკი.

უკრაინის მთავრობ

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **ბალხამოვი** ანა ალექსანდრეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ ბოქმის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ანა ხანუმ** ისმაილ ყიზი — კასპის რაიონის სოფელ მიქელწყაროს კოლმეურნეობის წევრი;
3. **კუდუხაშვილი** ნუშა კონსტანტინეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ ნიგოზის ბერიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ძაგანიშვილი** სირან გაბრიელის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ ზაჭაროს ბერიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **დიდებაშვილი** ნინო იოსების-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ერემოვა** ანა გიორგის-ასული — დიასახლისი, სოფელი წითელქალაქი, კასპის რაიონი;
3. **თაკაშვილი** ოლღა იოსების-ასული—მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **კოდანოვა** თამარ გაბრიელის-ასული—კასპის რაიონის სოფელ დოესის კოლმეურნეობის წევრი;
5. **მჭედლიშვილი** თამარ ივანეს-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ არაშენდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ოსიპოვა** მარიამ იაკობის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ჩარაშვილი** ეკატერინე ნიკოლოზის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ნიგოზის ბერიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ჩოხელი** სალომე იოსების-ასული — კასპის რაიონის სოფელ ვერხვეულის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ხუციშვილი** პელაგია მიხეილის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობის წევრი;
10. **ჯანანაშვილი** თეკლე თედორეს-ასული—კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობის წევრი;
11. **ჯანანაშვილი** პელაგია იოსების-ასული—კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ალიმბარაშვილი** თამარ გრიგოლის-ასული — კასპის რაიონის სოფელ წითელქალაქის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ადაჟანოვა** თებრონე მიხეილის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **თვაური** ნატალია შოს-ასული — კასპის რაიონის სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობის წევრი;
4. **კვეზერელი** ნინო გორას-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **კიზდარ** ნამაზ ყიზი — მცხეთის რაიონის სოფელ ცხინვალის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მეზურნოვა** ბარბარე სტეფანეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ წითელქალაქის კოლმეურნეობის წევრი;
7. **მელიქოვა** თამარ ტატოს-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მუხიგულაშვილი** მარიამ მათეს-ასული — დიასახლისი, სოფელი წინარეხი, კასპის რაიონი;
9. **ქვრივიშვილი** ქსენია სანდროს-ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჩადენიანის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ყაველაშვილი** თებრონე სოლომონის-ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ტელანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ხაჩიძე** ერმონია დარისპანის-ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ხვირან** მაჰმად ყიზი — ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბლის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ჯიოევა** ელენე მუშაელის-ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ჯიოევა** ვასასი ივანეს-ასული — ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერნის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **აბულაძე** ანა ვასილის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ქედის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **თათარაშვილი** სოფიო ნიკოლოზის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ოქმის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კარაძე** ოღლა ვასილის-ასული — დიასახლისი, სოფელი ციხისუბანი, კასპის რაიონი;
4. **კერესელიძე** მელანია სიკოს-ასული—კასპის რაიონის სოფელ ეზატის კოლმეურნეობის წევრი;
5. **კოშაძე** ეფემია ესტატეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს კოლმეურნეობის წევრი;
6. **ნონიაშვილი** ნინო დიმიტრის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **რთველიაშვილი** ლუსიკ სანდროს-ასული — დიასახლისი, სოფელი ძეგვი, მცხეთის რაიონი;
8. **რთველიაშვილი** მარიამ ლუკას-ასული — დიასახლისი, სოფელი ძეგვი, მცხეთის რაიონი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **ამარაშვილი** მარიამ ისაკის-ასული—მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
2. **ალავერდაშვილი** თეკლე დარჩოს-ასული—დიასახლისი, სოფელი ქვემო ნიჩბისი, მცხეთის რაიონი;
3. **დათაშვილი** ელენე ზაქარიას-ასული — კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **კალატოზიშვილი** ნატალია პავლეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **კარაპეტოვა** ნინო გრიგოლის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მახარაშვილი** დარია მათეს-ასული—მცხეთის რაიონის სოფელ ჯიღაურის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ნიკოლეიშვილი** ევა ნასყიდას-ასული — დიასახლისი, დაბა კასპი, კასპის რაიონი;
8. **ოსეფაშვილი** ალექსანდრა ივანეს-ასული—მცხეთის რაიონის სოფელ ქვემო ნიჩბისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ოსეფაშვილი** ელისაბედ (ლიზა) დავითის-ასული — მცხეთის რაიონის სოფელ ქვემო ნიჩბისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ოსიპოვა** ელენე გრიგოლის-ასული — მოსამსახურე, სოფელი მუხრანი, მცხეთის რაიონი;
11. **პაპაშვილი** ნინო ალექსანდრეს-ასული — მოსამსახურე, სოფელ ქვემო ნიჩბისი, მცხეთის რაიონი;
12. **სოლოღაშვილი** თამარ ილარიონის-ასული — დიასახლისი, სოფელი ძეგვი, მცხეთის რაიონი;
13. **ტენტერაშვილი** ოღლა ილარიონის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ჩიხაშვილი** თამარ ალექსანდრეს-ასული—მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჩქარეული** პელაგია გიორგის-ასული — ბუშა, სოფელი საგურამო, მცხეთის რაიონი;
16. **ხაჩიბავა** ელისაბედ (ლიზა) ივანეს-ასული — კასპის რაიონის სოფელ საპთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. **ხუროშვილი** სოფიო აკაკის-ასული — კასპის რაიონის სოფელ ოქმის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1946 წლის 28 მარტი. ქ. თბილისი.

სომხეთის ნაკრძალები

ერევანი, 13 აპრილი. (საკდესი). სომხეთის მთიან ადგილებში, ტყეებსა და ველებში არის ხუთი ნაკრძალი და სააკლიმატიზაციო სანადირო მეურნეობა. ვეებერთელა ტერიტორია — 60 ათასი ჰექტარი — უკავია სარაიბულახის ნაკრძალს, რომლის შამბნარსა და წყალსატევებში მოიპოვება ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს ხარ-ნაირი წარმომადგენლები. აქ შეხვდებით ავაზებს, ფოცხვერებს, მგლებს. ნაკრძალებში უხვად მოიპოვება მთის ძელიები, კვერნები, მაჩვები, მთის არწივები. ნაკრძალის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს ირმხური ცხვრისა და თხის შენარჩუნება და მომრავლება.

ტალის სანადირო ნაკრძალში, რომელსაც 40 ათასი ჰექტარი უკავია, ამრავლებენ შველს, კვერნას, კავკასიურ როჭოს, მთის ინდოურს. კანადის ვერცხლისფერ-მოშავო მელიები იზრდება კიროვაკანის სააკლიმატიზაციო მეურნეობაში. მაღალმთიანი სევანის ტბის აუზში იქმნება სანადირო მეურნეობა ონდატრის მოსაშენებლად.

შუშის საბერავი მანქანები

მოსკოვის შუშის ქარხანაში, სადაც მზადდება ელექტრონათურების კოლბები, აგებულია ახალი შუშისსადნობი ღუმელი. ხდება საამქროების რეკონსტრუქცია. საამქროებში ახალი მოწყობილობა იდგმება. აქ პირველად დაიწყებს მუშაობას კოლბასაბერავი ავტომატი. ორი ასეთი ავტომატის აღჭურვილობით 192 ძბერავი გათავისუფლდება სხვა სამუშაოსათვის.

შუშის კოლბების დამზადების ყველა პროცესი ძექანიზებულ იქნება. გამდნარი შუშა ჩადაეცემა შუშის საბერავ ავტომატ მანქანას. მანქანის ირგვლივ მოთავსებულ სპეციალურ ფორმებში მექანიკურად დამზადდება გარკვეული სიდიდის კოლბები. შემდეგ ეს კოლბები კონვეიერით გადავა გამოსაწვავ ღუმელში და გასაცივებელ კონვეიერში.

ამჟამად ქარხანაში მოწყობილია კურსები ოპერატორებისა და ზეინკლებისა, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ უახლეს შუშის საბერავ ძანქანებს.

ქარხნის რეკონსტრუქციაზე 4 მილიონი მანეთი დაიხარჯება. (საკდესი).

მოსკოვი. სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი.
ფოტო ა. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საბჭოთა კავშირში

ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ამხ. ს. ვ. კაფტანოვმა ბრძანება გასცა, რომ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემოღებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლა. კანონის შესწავლას უმაღლეს სასწავლებლებში ეთმობა 24 საათი (აქედან 18 სალექციო და 6 სემინარული), ტექნიკუმებში—14 საათი. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია არსებულ სასწავლო გეგმებში საათების ამ რაოდენობის ჩატევა, კანონის შესწავლა სწარმოებს სასწავლო გეგმებს ზევით.

ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლების მეცადინეობის პროგრამებში გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარების გეგმის შესწავლა უმაღლესი სასწავლებლის პროფილის მიხედვით. ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის პროგრამები შეიცავენ შესაბამისი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესწავლას.

ხუთწლიან გეგმაში მეცადინეობის ჩატარება უმაღლეს სასწავლებლებში ევალებათ სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებათა პროფესორებსა და მასწავლებლებს, ხოლო ტექნიკუმებში—სსრ კავშირის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლებს.

ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს სასწავლო წლის დამლევს. კურსის დამთავრების შემდეგ ტარდება ჩათვლა. უმაღლესი სასწავლებლების ახალ მიღებულ სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის კანონის შესწავლა გათვალისწინებულ უნდა იქნას პირველი კურსის სასწავლო გეგმაში.

ზრეკოვის კონსტრუქციის „პნევმოვატერი"

კოსტრომა, 12 აპრილი. (საკდესი). კოსტრომის საფეიქრო ინსტიტუტის დოცენტმა პ. პ. ტრეკოვმა გააკეთა ახალი სართავი მანქანა—„პნევმოვატერი". ამ მანქანით გამოიმუშავებენ ნართს მოკლე ბოჭკოებისაგან პნევმატური ხერხით. ეს სულ ახალი მანქანაა საფეიქრო მრეწველობაში. მისი მუშაობის პრინციპი ემყარება ბოჭკოთა ნაკადის შექმნას ჰაერის ტალღით. მანქანას შეუძლია გააკეთოს ნართი მოკლე ბოჭკოსაგან, რომელსაც დღემდე ნაკლებად იყენებდნენ საფეიქრო მრეწველობაში. ეს მანქანა აკეთებს არმირებულ ნართს, რომელიც ძვირფასი ბოჭკოთი იფარება. ჩვეულებრივ ვატერებზე რთვის სისწრაფე 20 მეტრ ნართს აღწევს წუთში. „პნევმოვატერზე" იგი 40-45 მეტრამდე ადის.

პირველი მანქანა „პნევმოვატერი" დამზადებულ იქნება წელს საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს კოსტრომის მექანიკურ ქარხანაში.

ყინულმჭრელი ფლოტი არქტიკული ნაოსნობისათვის ემზადება

ლენინგრადი, 9 აპრილი. (საკდესი). დოკებსა და გემთმშენებელ ქარხნებში სწარმოებს ყინულმჭრელი ფლოტის მზადება არქტიკული ნაოსნობისათვის. მიმდინარეობს ყინულმჭრელ გემ „ლენინგრადსკის" კაპიტალური რემონტი. საქვაბე დანადგარები თხევადი სათბობიდან მაგარ სათბობზე გადაჰყავთ. სარემონტო სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკიპაჟის ძალებით სრულდება. „ლენინგრადსკი" მალე წავა არქტიკაში, სადაც შემცვლელს მიუყვანს მეზამთრეებს და სხვადასხვა ტვირთს მიუტანს პოლარულ სადგურებს.

სწრაფი ტემპებით სწარმოებს აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები ყინულმჭრელ „ვიაჩესლავ მოლოტოვზე", რომელიც მონაწილეობას მიიღებს არქტიკულ წყლებში გემების გაყვანაში. სარემონტო სამუშაოთა დიდ ნაწილს აქაც თვითონ მეზღვაურები ასრულებენ. ხარატმა სიდნეევმა და მექანიკოსმა მატვეევმა მოაწყეს საფენების დამზადება ორთქლის გადამეტ-ძხურებლებისათვის, უზრუნველჰყვეს ძექანიზმების დროული რემონტი.

წლევანდელ არქტიკულ ნაოსნობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ყინულმჭრელები „ალიოშა პოპოვიჩი" და „ილია მურომეცი".

საცხოვრებელი სახლების პროექტები სოფელ ადგილებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა კომიტეტმა მოაწყო დახურული კონკურსი სოფელ ადგილებისათვის საცხოვრებელი სახლების პროექტებზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის 120 არქიტექტორმა.

კონკურსის ჟიურიმ მოიწონა 62 პროექტი. ავტორებმა გამოიყენეს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სოფელ ადგილების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გამოცდილება. სახლებს აქვთ 2-4 საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო—სასადილო, ორი შესასვლელი—მთავარი და უკანა ეზოსი, თბილი წინა ოთახი, დერეფანი, საკუჭნაო და ბოსტნეულის შესანახი იატაკქვეშ.

თვითეულ პროექტში გათვალისწინებულია ეზოს სამეურნეო შენობა ბოსლით, საღორით, საქათმით და სხვ. შენობა შეიძლება აგებულ იქნას ცალკე ან მიეშენოს სახლს.

საუკეთესო პროექტები წარადგინეს როგაჩევმა და მეერსონმა, რომლებმაც მიიღეს ორი პირველი პრემია. სამი მეორე პრემია მიეკუთვნა ყიგაჩევს, იაკობსონს და ჩერხიაკს და სამი მესამე პრემია—ალიმოვს, ტიუკოვს და იაკოვლევს.

კონკურსის ჟიურიმ ცალკე აღნიშნა არქიტექტურულ მეცნიერებათა კანდიდატ ჩალდიმოვის პროექტი. იგი ითვალიწინებს საცხოვრებელი სახლის გათბობას ერთი ღუმელით, რომელსაც დამატებით გაუკეთდება კალორიფერი.

მოწონებული პროექტები რეკომენდებულ იქნება ძასობრივი აღდგენითი მშენებლობისათვის. (საკდესი).

ჩია მებაღეობა უკრაინაში

კიევი, 12 აპრილი. (საკდესი). ახალ ხუთწლედში დიდი სამუშაო შესრულდება უკრაინაში მებაღეობის განსავითარებლად და მტრის შემოსევით დაზარალებული ბაღებისა და სანერგეების ფართობის აღსადგენად. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩია მებაღეობამ, რაც ფართოდ გავრცელდა ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

— ჩია ხეხილის მთავარი უპირატესობა,—აცნობა საკდესის კორესპონდენტს მებაღეობისა და მეღვინეობის რესპუბლიკური ტრესტის მმართველმა ამხ. მურზამ,—ის არის, რომ იგი მალე ისხამს, რაც ჩვეულებრივ მესამე წელს იწყება, მაშინ როცა ჩვეულებრივი ხეები ნაყოფს მეათე—ძეცამეტე წელს იძლევიან.

XVIII პარტყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (სტალინოს ოლქის სოფელი პროსიანოე), სადაც ჩია ხეხილს 40 ჰექტარი უკავია, შარშან დაკრეფილი პირველი ხილი კარგი გემოსი აღმოჩნდა.

ჩია მებაღეობას შეუდგა უკრაინის ბევრი მეურნეობა. ხერსონის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პარიზის კომუნაში" პირველად დაირგო ჩია სადედეების 1.500 ბუჩქი, ხარკოვის ოლქის კუპიანსკის სანერგეში—2.300 და სხვ. პოლტავის ოლქის მიჩურინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში საქართველოდან შემოტანილია ჩია ხეების 20.000 სადედე. აქ გაშენდა მებაღეობის სანიმუშო სახელმწიფო სანერგე. 1947 წელს ამ სანერგეში მიღებულ იქნება 200 ათასამდე ფშანი ისეთი ძვირფასი ჯიშებისა, როგორიცაა „პარადიზი", „დუსენი" და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიყენოთ ციტრუსოვანთა ახალი სამრეწველო ჯიშები

საკავშირო მთავრობის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" დიდ ამოცანებს გვისახავს. ეს დადგენილება წარმოადგენს ახალ სტალინურ ხუთწლედში ძვირფასი კულტურების —ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლების კონკრეტულ პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელებით ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კიდევ უფრო უხვად მისცემენ სოციალისტურ სამშობლოს ძვირფას ხილს, გაზრდიან თავიანთ შემოსავალს.

ციტრუსოვანი კულტურების განვითარება, მსხმოიარობის გადიდება, საადრეო ჯიშების მიღება ბევრად არის დამოკიდებული სელექციურ მუშაობაზე. საკავშირო მთავრობის მიერ მაღალხარისხოვანი ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანისათვის დაწესებულია პრემიები, რაც უდიდეს სტიმულს ჰქმნის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

საბჭოთა სელექციონერების ამოცანაა გამონახონ ისეთი საშუალება, რომლითაც ციტრუსოვან კულტურებს —ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს ყინვაგამძლეობის მეტი უნარი ექნებათ, მაშასადამე, მათი შეფუთვა ზამთრობით საჭირო აღარ იქნება. დღემდე ამ საქმეში მცდელი კოლმეურნეები, მებაღე მუშები და აგრონომები აქტიურად არ იყვნენ ჩაბმულნი. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებიც ყინვისგამძლე ჯიშების ძიებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

ცნობილმა მეცნიერმა ი. ვ. მიჩურინმა დიდი ხანია აღნიშნა ის პირობები, რომლებშიც უნდა სწარმოებდეს მცენარის ორგანიზმის აღზრდა, რათა მან განვითაროს ესა თუ ის დადებითი სამეურნეო ნიშნები. მიჩურინის საჭიროდ სთვლიდა, რომ ხეხილის აკლიმატიზაციის დროს მისი გამრავლება მომხდარიყო გენერაციულად, თესლით.

შეიძლება ითქვას, ციტრუსების მიმართ აკლიმატიზაცია ჩვენში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით არ სწარმოებდა, არც თესლით გამრავლება და შერჩევა ხდებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ თესლით გამრავლების დროს ციტრუსები ამეღავნებენ თავიანთი წინაპრების არაკულტურულ ანუ არადადებით სამეურნეო ნიშანთვისებებს. მაგრამ აღზრდის საშუალებით შეიძლება შევინარჩუნოთ მისი მხოლოდ დადებითი ნიშანთვისებები.

მიჩურინი გვასწავლის, რომ ყოველ მცენარეს აქვს უნარი განიცადოს ცვალებადობა თავის აგებულებაში, როდესაც მას განვითარების სხვადასხვა სტადიაში უხდება ახალ პირობებთან შეგუება. ეს უნარი გამომჟღავნდება თესლიდან გაძოსვლის პირველსავე დღეებში და სუსტდება ან ირულიად ჭქრება ნაყოფის მოცემიდან ორი-სამი და იშვიათად ხუთი წლის შემდეგ.

ღიდმა რუსმა მეცნიერმა შეიმუშავა ჰიბრიდული თესლნერგების აღზრდის ღონისძიებანი. თესლნერგებს შორის ის აწარმოებდა ისეთი ფორმების შერჩევას, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით მისაღებია.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მიჩურინის მეთოდების გამოყენებით მიღწეულ იქნება ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე ჯიშების მიღება. ამ საქმეში სხვა ნაკლთა შორის აღსანიშნავია ის, რომ ციტრუსოვანებში საადედე ხეების გამოყოფა ხდება მხოლოდ გასამრავლებლად და არა დაკვირვებისა და ცდებისათვის (გარდა საცდელი დაწესებულებებისა). ამრიგად გამოყოფილი საადედე ხეებიდან აღებული კალმებით გამრავლებული ნერგები, მართალია, მეურნეობებში შენდება, მაგრამ არ ხდება იმის შემოწმება, თუ როგორ იტანენ ისინი დაბალ ტემპერატურას.

იმისათვის, რომ მივიღოთ ციტრუსოვანი კულტურების ყინვაგამძლე ჯიშები—ბიოლოგიურად შეგუებული, ძაღალმოსავლიანი, საადრეო, საუკეთესო გემოსი, თავდაპირველად საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ ნარგაევებს, რომლებიც ღიდი ხანია შემოტანილია ჩვენში და შეეგუენ ნიადაგისა და ჰავის პირობებს, დაუზიანებლად გადაიტანეს ცივი ზამთრები.

ჯიშის ყინვაგამძლეობასთან ერთად შეუსწავლილ უნდა იქნას მიკორიზიონის პირობები, რაც ყინვაგამძლეობას უწყობს ხელს. სელექციური მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწყისი მასალის კარგად შერჩევას.

ათას ჰექტარობით გაშენებული ციტრუსოვანი კულტურები მეტად მრავალფეროვან მასალას წარმოადგენენ. დაკვირვებით ადვილად შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი ხე იძლევა ბევრ და გემრიელ ნაყოფს, ზოგი კი პირიქით, თუმცა ნიადაგის, ჰავისა და მოვლის პირობები ერთნაირი აქვთ. ისიც ცხადია, რომ დიდ როლს ასრულებენ ხის მემკვიდრეობითი ნიშანთვისებები, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩვენი ამოცანაა ნარევიდან შევარჩიოთ და გავამრავლოთ ისეთი კლონი, ანუ ახალი ნიშანთვისების მცენარე, რომელიც საუკეთესო იქნება მოსავლიანობით, ნაყოფის ხარისხით, ყინვის ამტანობით. ამ საქმეზე უნდა იზრუნონ არა მარტო სელექციონერებმა, არამედ მცდელმა კოლმეურნეებმაც. ამრიგად შერჩეული ხეები საჭიროა გავამრავლოთ საწყისი მასალის საკოლექციო ნაკვეთებში, ვაწარმოოთ ჯიშთა გამოცდა სიცივის მხრივ სხვადასხვა პირობებში, გამოვავლინოთ აშკარად გამოხატული ძვირფასი სამეურნეო ნიშანთვისებანი. ასეთი წესით არის მიღებული, მაგალითად, ფორთოხლის საზღვარგარეთული ცნობილი ჯიში „ვაშინგტონნაველი".

იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი სტალინის დავალება —მივცეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს ციტრუსოვანთა ახალი სამრეწველო ჯიშები, — აუცილებელია ყოველმხრივ გავაძლიეროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

ეს არის საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი განვითარების სტალინური გეგმის განხორციელების საწინდარი.

დოცენტი ი. ჭანტურია

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: ქალაქის საწარმოებში I კვარტალის გეგმების შესრულების შედეგები და ავტოქარხნის მშენებლობის მიმდინარეობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ა. მაღრაძემ.

— ქალაქის მრეწველობამ,—სთქვა მომხსენებელმა, — წარმატებით დაიწყო ახალი ხუთწლიანი გეგმის პირველი წელი და პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულა. მთელმა რიგმა საწარმოებმა მუშაობის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს. რიონჰესმა I კვარტალის გეგმა 132,6 პროცენტით შეასრულა, საკონსერვო ქარხანამ — 119,7 პროცენტით, აბრეშუმკომბინატმა—101,9 პროცენტით. კომბინატთან იგება ორი ახალი ფაბრიკა: ერთი მათგანი თეთრეულს მოქსოვს და ყოველწლიურად გამოუშვებს 3,5 მილიონ მეტრ პროდუქციას, მეორე — ნარჩენებისაგან დაამზადებს უმაღლესი ხარისხის ძაფს — ბურდესუას 40 ტონის რაოდენობით წელიწადში.

მოწინავე საწარმოთა გვერდით არიან ჩამორჩენილნიც. მაუდის ფაბრიკამ კვარტალის დავალება 95,4 პროცენტით შეასრულა, სამკერვალო ფაბრიკამ — 79,9 პროცენტით, ტყავეფხსაცმლის კომბინატმა—76,6 პროცენტით. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია ნედლეულის მოუმზარაგებლობა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აბრეშუმკომბინატის დირექტორმა დ. თოთიბაძემ, საქართველოს შახტმშენის მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობის უფროსმა კ. პროზოროვმა, ტყავეფხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ნ. კუბლაშვილმა, საორთქლმავლო დეპოს უფროსმა კ. ბარქაიამ და სხვებმა.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საავტომობილო ქარხნის მშენებლობის უფროსმა ამხ. ოდიშარიამ.

— ჩვენი ამოცანაა, — ამბობს ამხ. ოდიშარია, — მიმდინარე წლის ბოლოსათვის უზრუნველვყოთ პროდუქციის გამოშვება.

მოხსენების გამო სიტყვები წარმოსთქვეს კობეშავიძემ, ქამუშაძემ, აკინჩიცმა, რაბინოვიჩმა, რიჟინაშვილმა, ლალიაშვილმა, ავალიანმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ნ. კიკაჩეიშვილმა.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნარსია.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!"

გამოხმაურება გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაური წერილზე

თბილისის რაიონი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ბიუროს განიხილა გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაური წერილი „მეტი სტახანოვური ჰექტარები!" და ძოწონა ინიციატივა ინდივიდუალურად მოსავლელად კოლმეურნეებისათვის ნაკვეთების მიჩენის შესახებ. ბიურომ დაავალა რაიალმასკომის მიწათმოქმედების განყოფილებას ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს სტახანოვური ჰექტარების მოწყობაში, მოწინავე აგროტექნიკით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიების გატარებაში. რაიონული გაზეთის „სტალინის დროშას" რედაქციას დაევალა სისტემატურად გააშუქოს სტახანოვური ჰექტარების თესვის, მოვლის საკითხები, უჩვენოს ამ ღონისძიების უპირატესობა და მოწინავე კოლმეურნეთა მუშაობის გამოცდილება.

სტახანოვური ჰექტარების მოწყობის ინიციატივამ კოლმეურნეთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა. სოფელ წალასყურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე განიხილეს „კომუნისტის" 28 მარტის მეთაური წერილი. მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ჩაჩანიძემ განაცხადა:

— შარშან ჩვენ სტახანოვური ჰექტარები მოწყობილი არ გვქონდა. როგორც ახლა გაზეთ „კომუნისტში" ვკითხულობთ, ნაკვეთების ცალკეული კოლმეურნეებისათვის მიჩენა მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მოსავლის გადიდებისათვის. ამიტომ ჩვენი ბრიგადა კისრულობს წელა დაამუშაოს 3 ჰექტარი ბოსტნეულის სტახანოვური ნაკვეთი და მიიღოს ჰექტარზე 500 ცენტნერი სუფრის ჭარხალი, 250 ცენტნერი ხახვი.

სოფელ დიღმის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადამ, რომელსაც ს. თეთრაშვილი ხელძღვანელობს, პირობა დაადო, რომ მოუვლიან ბოსტნეულის 3 ჰექტარ სტახანოვურ ნაკვეთს.

სტახანოვური ჰექტარები მასობრივად ეწყობა ავჭალის სტალინის, დიღმის სტალინის, სოღანლუღის ბერიას, გლდანის ფრუნზეს, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ თელეთის კოლმეურნეობა „იმედში".

თბილისის რაიონის კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაურ წერილთან დაკავშირებით ასეთი ვალდებულება იკისრეს: სტახანოვური ჰექტარების გაზრდითა და აგროწესების ზუსტად დაცვით ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 250 ცენტნერი პამიდორი, 200 ცენტნერი სტაფილო, 500 ცენტნერი სუფრის ჭარხალი და 140 ცენტნერი ხახვი.

ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისის მშრომელები წელს მიიღებენ გაცილებით მეტ ბოსტნეულს, ვიდრე წინა წლებში.

გალის რაიონი

გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის მეთაურ წერილთან დაკავშირებით სოფელ ძუხურის კოლმეურნეობის „საბჭოთა აფხაზეთის" წევრებმა იკისრეს დამატებით მოაწყონ ათეულ ჰექტარებზე სიმინდისა და ჩაის სტახანოვური ნაკვეთები.

კოლმეურნეებმა გულია გვალიამ, თომა გოლანძიამ და თარაშ თარბაიამ პირობა დასდეს ჰექტარზე მოიყვანონ ექვსას-ექვსასი ფუთი სიმინდი, უჯუშ მიქელბაიამ კი—700 ფუთი.

დუშა ბობოხანძემ, გულიკო გოგილანძემ, ციბა გვალიამ, ბაბუცა შარანგიამ, ნელი თარბაიამ, გოგოლა კვარაცხელიამ, ლუნა ბახბაიამ და სხვებმა, სულ 16-მა კოლმეურნემ განაცხადეს, რომ თვითეული მათგანი ჰექტარზე მოიყვანს 5-9 ათას კილოგრამ მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

სტახანოველები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. კოლმეურნეებმა გ. შარანგიამ, მ. ბულისკერიამ, ვ. ქვაჩახიამ, ტ. გაბელიამ, ც. გეგიამ, ბ. ხახაიამ და უ. მიქელბაიამ ვადამდე ღრმად მოხნეს სტახანოვური ნაკვეთები, თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 40 ტონა ნაკელი და სიმინდს სწრაფად სთესენ.

მათ არც მეჩაიე კოლმეურნეები ჩამორჩენენ: 135 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მსუბუქი გადაბარვა, ფოსფოროვანი სასუქის შეტანა, სადრენაჟო თხრილების გაწმენდა და ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება ვადამდე შეასრულეს.

კოლმეურნეებმა ტ. გოლანძიამ, ც. გვალიამ, კ. გაბელიამ, მ. კოწოლანძემ, მ. ბულისკერიამ, ი. სვიმონიამ საუკეთესოდ მოამზადეს ნიადაგი თესვისათვის.

კოლმეურნეობა შეუდგა მზადებას ჩაის ფოთლის კრეფისათვის. მკრეფავები მომარაგებულნი არიან კალათებით, შეაკეთეს სასწორები, წესრიგზე მოიყვანეს ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტი.

ს. შოგნია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რუსეთ-იმერეთის ურთიერთობიდან

სოღომონ I

იმერთა მეფე სოლომონ პირველი ერეკლე II ღირსეული თანამედროვე იყო. მისი მოღვაწეობა საქართველოში შემონახული წყაროებითაც საკმაოდ ცნობილია, მაგრამ რუსეთში დაცული ზოგიერთი რუსული და ქართული საბუთები უფრო ნათელ სურათს გვიხატავენ, როგორც მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, ისე, კერძოდ, მისი პიროვნებისა და პირადი ცხოვრების შესახებ.

სოლომონ I მოღვაწეობის ამომწურავად დახასიათება საგაზეთოდ განკუთვნილ წერილში არ შეიძლება. არც გვაქვს ასეთი მიზანი დასახული. მაგრამ ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტის აღნუსხვა შესაძლებელი და აუცილებელია იმ ორი, აქამდე გამოუქვეყნებელი საბუთის სავსებით გასაგებად, რომელთა ტექსტიც ქვემოთ ძოგვყავს.

სოლომონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა მე-18 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შეუდგა იმერეთის სამეფოს განთავისუფლებას თურქეთის მონობისაგან. 1757 წლიდან მოკიდებული, ხრესილთან დიდ ომგადახდილ სოლომონ I სიკვდილამდე არ დაუსვენია. დამახასიათებელია ხრეილთან მომხდარ ბრძოლამდე სოლომონის სახელმწიფო ბეჭდის ზედწერილი: „მონა ღვთისა ყმა ხონთქრისა სოლომონ". ეს მიღო მან მემკვიდრეობად, მაგრამ 1757 წლის შემდეგ სოლომონის ბეჭედს სხვა წარწერა ამშვენებს: „დავითის ნორჩი ღვთით მტერს მოვრჩი მეფე სოლომონ". სოლომონ მეფის ორი სხვადასხვა წლების ბეჭდების ზედწერილები ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ აქ, რომ გვიჩვენებინა სოლომონის საგარეო პოლიტიკის გეზი. სოლომონმა თურქეთთან ბრძოლა ამჯობინა ისეთ პირობებშიც, როცა არსაიდან დახმარების იმედი არ ჰქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის იმპერიის მაშინდელი საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი ერთ-ერთ ინსტრუქციაში აღნიშნავდა „...Имеретинский владетель Соломон... совсем своим сумасбродством туркам явной неприятель". („იმერეთის მფლობელი სოლომონ მთელის თავისი სიგიჟით თურქების აშკარა მტერია").

გამოუცდელ მკვლევარს სოლომონი აჩქარებულ პოლიტიკოსად შეიძლება მოეჩვენოს. მეზობელ ძლიერ თურქეთთან იგი შეურიგებელია, ვინაიდან შერიგება მისი ქვეყნის გაველურების პერსპექტივას სახავდა. ამიტომ არის, რომ ეკატერინე II-სთან გაგზავნილ ელჩს სოლომონი პირადად ავალებს და თვით ეკატერინეს წერილშიც სწერს, რომ მას თურქეთთან საერთო ენის გამონახვა არ სურს და 12 წელიწადია განუწყვეტლივ იბრძვის და იბრძოლებს. ამასთან დასძენს: „ოსმანნი ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, და უკეთუ ცოდვათა ჩვენთათვის, ვერღარა უძლოთ წინააღდგომად, ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებიან სხვანი მეფენიო" როგორც აქ, ისე სხვა წერილში სოლომონი გარკვევით ითხოვს ნებართვას, რომ თუ ბრძოლებში დამარცხდებოდა, რუსეთის საზღვრებში გადასვლის უფლება მისცემოდა, ისე როგორც ვახტანგ VI შეაფარა თავი რუსეთს.

ჩვენს ხელთ არის იმერეთის სამეფოს ორი აღწერილობა, შესრულებული რუსი ელჩების მიერ. ერთი მე-17 საუკუნის, მეორე მე-18 საუკუნის, სწორედ სოლომონ I თანამედროვე. ამ ორი სხვადასხვა დროის საინტერესო აღწერილობებიდან ჩვენ ჰოვიყვანთ ერთსა და იმავე საგანზე რუსი ელჩების ჩანაწერს.

1652 წელს იმერეთში მყოფი რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და ივლევი თავიანთ საანგარიშო მოხსენებაში სწერენ: „Церковь каменная, пречюдная, во имя архангела... а по скаке сел и деревен с пятьдесят... а в селе дворов с триста... да проехали четыре башни каменные да две палаты, а деревен и много проехали". („ვნახეთ უმშვენიერესი ქვის საყდარი, მთავარ ანგელოზის სახელობის... ხოლო მთის კალთებზე გაშენებული ორმოცდაათამდე სოფელი, სოფელში კი სამასამდე კომლი იქნებოდა... და კიდევ გავიარეთ ოთხი ქვის კოშკი და ორი დარბაზი, სოფლები კი მრავალი გავიარეთ").

სოლომონ I დროს, 1769 წელს საქართველოში მყოფი რუსი მოგზაურები იმერეთის შესახებ სწერდნენ თავიანთ ხელისუფლებს: „ნანგრევების მიხედვით შეიძლება ადამიანმა დაასკვნას, რომ მათ ჰქონიათ უზარმაზარი შენობა... ნანგრევებად ქცეულ ქვის ეკლესიებში ახლაც მოსჩანს კედლის მხატვრობა... და ვნახე მე აგრეთვე კედლის მხატვრობა, რომლის გარჩევა კიდევ შეიძლებოდა... სოფლებს აქ ეძახიან სადაც ერთი, ორი ან სამ-სამი კომლია და ისიც ძალიან მაღალ მთებში, ხოლო ასეთი სოფლები ერთიმეორისაგან ხუთი-ათი ვერსით არიან დაცილებულნი. ამ ნანგრევების სურათს იმავე აღწერილობით შემდეგი მოვლენა ამშვენებს—ქუთაისში სამიათასამდე თურქი იმყოფება და ამათგან დიდი ნაწილი ყოფილი იმერლები არიან, თავიანთი სარწმუნოება დაუტოვებიათ და გამაჰმადიანებულნი".

ყოველივე ეს, რასაც რუსი ელჩი აღწერს, იმერეთში თურქეთის 100 წლის ბატონობის შედეგი იყო. ასეთი დარბეული და გავერანებული მამულის შემხედვარე სოლომონს თურქეთთან საერთო ენის გამონახვაზე განა შეიძლებოდა ეფიქრნა? თურქეთთან ვასალური დამოკიდებულების დამყარება გათურქებაზე, გაველურებაზე დათანხმებას ნიშნავდა. სოლომონი არ გატყდა. იგი სამოციანი წლებიდან რუსეთისაგან დახმარებას დამფარველობას ეძიებდა, რუსეთთან იმერეთის ვასალური დამოკიდებულების დამყარებას სიამოვნებით ითხოვდა თავისი ელჩებით თუ წერილებით. მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ძლიერი ხელი ამიერკავკასიას ჯერ კიდევ ვერ სწვდებოდა და წლების მანძილზი იმერეთის მეფისათვის ეს აშკარა უნდა ყოფილიყო, სოლომონი მაინც რუსეთისაკენ იწვდიდა ხელს და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა.

რომ მართალი იყო სოლომონი ამ არჩევანში, ეს თვით ისტორიამ ცხადჰყო. მალე ხუთასი წელი შესრულდება, რაც თურქეთმა ბიზანტიური კულტურის კერა დააქცია, ხელთ იგდო საუკეთესო ტერიტორია. კონსტანტინეპოლსა და მის მიმდგომ სრუტეებზე გაბატონდა. თურქეთი განათლებულ ევროპას პირისპირ უცქერის 500 წლის განმავლობაში და ხუთი ნაბიჯი არ წაუდგამს წინ საშუალო საუკუნეებიდან. იგი განათლებისა და ევროპეიზაციის გზის დასახშობად გაწვა შავი ზღვის სრუტეებზე და ამიერკავკასიის კულტურისაკენ ხელებს ველურობასა და გადაგვარებას უმზადებდა.

სოლომონ პირველი, კარგად ხედავდა რა საფრთხეს თურქეთის მხრიდან, ათეული წლების მანძილზე რუსეთთან დამეგობრებასა და დაახლოებაზე მუშაობდა. რუსეთი მარტო ქრისტიანული სარწმუნოებით კი არ იყო მიმზიდველი. იგი ევროპისაკენ, განათლებისაკენ მიმავალი გზა იყო. რამდენი დაბრკოლება არ გადაეღობა ამ გზისაკენ სოლომონს და მის ღირსეულ თანამედროვე ერეკლე მეორეს. მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ ადგნენ აღებულ გზს. საქართველოს ხსნას თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლასა და რუსეთთან დაუგობრებაში ხედავდნენ.

სოლომონისათვის აშკარა იყო, რომ ქართველთა ძალებით თურქეთის ძლიერების შემუსვრა არ შეიძლებოდა და თავისი ქვეყნის ბედს საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებაში ეძიებდა, კერძოდ რუსეთ-თურქეთის დამოკიდებულებაში.

სოლომონ I აქამდე უცნობი წერილი, მიწერილი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესაჭის, ეკატერინე II ახლო მეგობრის, გრიგოლ პოტიომკინისადმი ნათლად გვიჩვენებს იმერეთის მეფის მისწრაფებას დაუკავშირდეს რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ. წერილთან ერთად სოლომონმა პოტიომკინს საჩუქრად გაუგზავნა ხმალი, რომელიც მისი არსებობის სიმბოლოდ მიაჩნდა. ამ ხმლით სოლომონს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში არ მოუსვენია, იგი ამიტომ ფასდებულად და პოტიომკინს საკადრის საჩუქრად მიუჩნევია. სოლომონის ხმალი და მოუსვენარი გული თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოა. სავსებით სწორი მისამართით გზავნდა სოლომონი თავის ხმალსა და გულს. პოტიომკინი ცნობილი „საბერძნეთის პროექტის" ავტორი იყო. ეს პროექტი ავსტრიასთან რუსეთის კავშირით თურქეთის სამხედრო განადგურებას ისახავდა მიზნად. თურქეთის ხანგრძლივებზე მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო როგორც საბერძნეთი და ბალკანეთის სლავური სახელმწიფოები, იე ქართველთა ძლიერი სამეფო, რომელიც რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაში იქნებოდა. ეს პროექტი 1782 წლისათვის უკვე ჩამოყალიბდა. სწორედ ამ წელს არის დაწერილი სოლომონის წერილიც.

წერილი დაცულია მოსკოვში სამხედრო ცენტრალურ საისტორიო არქივში. წესით იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც იმ დროს პოტიომკინი სამხედრო საქმეებსაც ხელძღვანელობდა, წერილი ამ უწყების არქივში მოხვდა.

წერილის ტექსტს ვბეჭდავთ მცირე შემოკლებით: „უბრწყინვალესო და უწარჩინებულესო, უფალო იანარალ ანშეფტო კნიაზ პოტიომკინ, მწყალობელო ხელმწიფეო... სრულის გულით და გონებით, მომინდვია თქვენთვის უბრწყინვალესობისათვის ჩემი გული და ჩემი ხელი და ჩემი ქვეყანა, და ეს ჩემი გარჯილი ხმალი ქრისტიანობისათვის აღლესული, რომლითაც რომ ღვთისა და თქვენის წყალობით, მრავალ გზის დათხეულა სისხლი უსჯულოთა ოსმალთა, ამისათვის ჩემ მაგიერად, ეს ჩემი ხმალი შემოვედრებია. ჩემი გული და ეს ერთად მომირთმევია და ერთად გახლდესთ და რაც აქამდინ ჩემს გულსა და მაგ ხმალს მოსვენება არ ჰქონია და ჯერ არ დასძინებია, თქვენ გავედრებთ... ამისათვის, რომ შენი უბრწყინვალესი ხელი დაგვდებია ყოვლად მოწყალისა იმპერატორობისაგან და გვედრებთ, რომ ჩემეულად ჩემი ხმალი მიიძღუანოთ და მიიბაროთ და მაგით ვაგვიხსენებდეთ სადაც უმჯობესი რიგი იყოს... სხვაა წყალობასთან ესეცა უდიდესი სამადლობელი საფარკელი ყოვლად უდიდებულესობისა ხელმწიფობისა მოგვევლინა ლეკარი ვიბენბურღ, ცოლით და შვილი, ვითარცა ბრძანება იყო ჩვენთან გიახლაო. ამისათვისცა... კრძალვითა მადლობა განეცხადოს.. თქვენსა უბრწყინვალესობის აამსახურის წადიერი მეფე საიმერეთოსა სოლომონ ბიჭედი ქს აქათ ჩოპბ (1782) ВЦИА კონ. № 3, საქმე № 6, პოტიომკინის ფონდი).

წერილის ბოლოს მოხსენებული „ვიბენბურღი" ექიმია, სოლომონის თხოვნით რუსეთიდან დროებით გამოგზავნილი. უფრო ადრე სოლომონ მეფეს იტალიაში უთხოვია ექიმის გამოგზავნა. ექიმ „ვიბენბურღს" მკურნალობის გარდა სხვა დავალებებიც ჰქონდა, იგი ადგილობრივ სამკურნალო მცენარეულობასაც სწავლობდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სოლომონ I მეორე წერილიც იმავე პოტიომკინისადმი. ეს წერილი ნაწილობრივ შუქს ჰფენს სოლომონ I დღეს არსებული სურათის სინამდვილეს. დღეს ჩვენ ერთადერთი სურათი გვაქვს სოლომონ პირველისა. ეს სურათი დაცულია საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ გახყოფილებაში. მუზეუმის თანამშრომლებთან: პატივცემულ ი. სონღულაშვილთან, ემუხვართან, ჯაფარიძესთან და პროფესორ შ. ამირანაშვილთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ დღეს მუზეუმში დაცული სოლომონ პირველის სურათი, ზეთის საღებავით ტილოზე შესრულებული, რუსეთიდან არის ჩამოტანილი იმ ნივთებთან ერთად, რომელნიც რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა გაქოუგზავნა საქართველოს. ამ სურათთან მოჰყვა ზედწერილი, რომ იგი სოლომონ I გამოსახულებაა თუ საიდან სჩანდა, რომ იგი სოლომონ პირველის სურათია, ამის დამადასტურებელი ცნობა მუზეუმს არ ჰქონდა. ვინ დახატა, როდის დახატა, ვის ეკუთვნოდა სურათი, დღემდე გამოურკვეველი იყო. ჩვენს ხელთ არსებული წერილი სოლომონ პირველის სურათის წარმოშობის ისტორიას უფრო გარკვეულს ხდის.

სოლომონ I 1782 წელს ჰოტიომკინისადმი გაგზავნილ მეორე წერილში მადლობას უხდის რუსული უმაღლესი ჯილდოს—ანდრია პირველწოდებულის ორდენის გამოგზავნისათვის, და აწერს, რომ თქვენ რომ მხატვარი გამოგეგზავნათ ჩემი სახის დასახატავად, როგორც თქვენ გაურდათ, ისე დავდგე მხატვრისა წინაშე და სურათი უკვე მზად არის, გამოგეგზავნებათო. რადგანაც მუზეუმში დღეს დაცული სოლომონის სურათის ნამდვილობის და მხატვრის ვინაობის გარკვევას მნიშვნელობა აქვს, სოლომონ I წერილის ტექსტს მცირე შემოკლებით აქვე ვათავსებთ: „უბრწყინვალესო და უწარჩინებულესო უფალო იანარალ ანშეფტო კნიაზ პოტიომკინ, მწყალობელო ხელმწიფეო, ძმაო და უფალო ჩემო. ყოვლად მოწყალისა და უთვითმპყრობელესისა ხელმწიფისა ბრძანებისაებრ, თქვენის უბრწყინვალესობისა მიერი წიგნი გვებოძა მე და ამა ქვეყნისა ყოვლად სამღვდელოთა არქიერთა გამოცხადებული და სანატრელი წყალობა, კავალერია პირველი წმინდისა ანდრია მოციქულისა და ეგრეთვე ყოვლად საწადელი ნუგეში ქრისტიანეთანხედა ამისათვის უმეტესად ერთხმობით ვადიდებთ ურიცხვსა მოწყალებასა მათსა... და ვმადლობთ უბრწყინვალესობასა თქვენსა... კუალად ჩემისა სახისა გარდამხატველი გებოძათ. ბრძანებისა თქვენისაებრ ვადგეგ წინაშე ამა მხატვრისა და რა გვარადაც რიგი იყოს თქვენი ბრძანებული აღესრულა, რომელიც რომ მოგერთმევათ. თქვენის უბრწყინვალესობის აამსახურის მოსურნე მეფე საიმერეთოსა სოლომონ. (ბეჭედი) ქს აქათ ჩოპბ (1782). (სამხედრო საისტორიო არქივი, კონ. № 3. საქმე № 6. ფურცელი 1).

როგორც ვხედავთ, სოლომონ პირველი 1782 წელს უკვე დახატული ჰყავს რუსეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილ მხატვარს. აურათის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ იგი დიდი ხნის დახატულია. 1769-70 წლებში სოლომონის გარეგნული აღწერილობა მოცემული აქვთ რუსეთის რწმენებულებს, რომელნიც იმერეთში იყვნენ სოლომონთან. ერთი მათგანი, რუსეთის სამსახურში მყოფი ვახტანგ VI დროის ქართველია „მოურავოვოს" გვარით (თარხან-მოურავი). იგი თავის ხელისუფლებას იმერეთიდან რუსეთში სოლომონს შესახებ სწერს: „რაც შეეხება იმერეთის მფლობელს სოლომონის პიროვნებას, რომელიც 35 წლის არის, საშუალო სიმაღლისაა, სახით ლამაზი „Лицом пригож" ულვაშებით, წვერს იპარსავს, ტანთსაცმელს ნაცრიაფერი მაუდისას ატარებს. შეხედულება გაბედული და გმირი მეომრის აქვს („И вид представляет самого отважного и храброго воина"). გატეხილი თოფი, ერთი დამბაჩა, ხმალი და დიდი ხანჯალი სულ მუდამ თან აქვს. მიმოხვრასა და ქცევაში უბრალო იმერლისაგან არავითარი განსხვავება არა აქვს და ვინც მას პირადად არ იცნობს, უბრალო ხალხისაგან ვერ განასხვავებსო".

კაპიტანი იაზიკოვი თითქმის ამასვე იმეორებს სოლომონის გარეგნული აღწერილობის შესახებ და დამატებით იმას აღნიშნავს, რომ სოლომონს ძვირფასი ტანთსაცმელი აქვა, მაგრამ იშვათად იცვამსო. იაზიკოვი სოლომონ მეფის სადილსაც აღწერს: „Стол его не развится от княжеских, вместо хлеба ест гоми и жаренное мясо — вина довольно, даже и соизлишеством». („მისი სუფრა არ განსხვავდება თავადების სუფრისაგან, პურის მაგივრად ღომს ჭამს, შემწვარ ხორცს, ღვინოს საკმაოდ ცოტა მეტსაც").

ამ აღწერილობათა შედარება დღეს მუზეუმში დაცულ სოლომონის სურათთან უეჭველს ხდის. რომ ჩვენს წინაშე უდავოდ სოლომონ I გამოსახულებაა. როგორი მხატვარია ამ სურათის შემსრულებელი, ამ საკითხის გამორკვევა სპეციალისტების საქმეა. ვინ არის ეს მხატვარი, სოლომონის წერილიდან არ სჩანს, მაგრამ მხატვრის ვინაობის დადგენა შეიძლება. სამწუხაროდ, როცა ამ საბუთს ვიწერდით მოსკოვის არქივში, ძალიან მცირე დრო გვქონდა ჩვენს განკარგულებაში და, რაც მთავარია, სხვა საკითხებით ვიყავით დაინტერესებული, თორემ საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივში ამ მხატვრის ვინაობის მოძებნა შეიძლება. ძე-18 საუკუნეში რუსეთიდან საზღვარგარეთ მიმავალ ადამიანს, კერძოდ საქართველოში მომავალსაც, უნდა აეღო პასპორტი და ყიზლარის კომენდანტს საგანგებო მიწერილობა ეგზავნებოდა, ესა და ეს კაცი ამა და ამ დავალებით მიდის სახაზინო საქმეზე და ცხენი და სურსათი გაუმზადეთო. ამ საბუთების მოძებნა შეიძლება ყოფილი საგარეო საქმეთა საძინისტროს არქივში „Дела грузинские"-ს ფონდში.

რუსეთში მაშინ რუს მხატვრებს გარდა ჰყავდათ უმთავრესად უცხოეთის მხატვრები ჰოლანდიელები და იტალიელები. შესაძლებელია რომელიმე ევროპელი მხატვრის მიერ იყოს სოლომონის სურათი შესრულებული. ერთი გარემოება მაინც გვაეჭვებს: სოლომონის წერილიდან ისე გამოდის, რომ იგი დამდგარი იყო და ასე ხატავდნენ. მაშინ მთელი ტანით უნდა ყოფილიყო გამოსახული. მუზეუმში დაცული სურათი კი წელს ზევით არის მოცემული. მაგრამ საკითხის დაზუსტება სპეციალისტებს დავუთმოთ.

დღეს ჯერჯერობით დანამდვილებით შეგვიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის გამოსახულება რუსეთის სიძველეთსაცავებმა ნამდვილად შემოგვინახეს.

იასე ცინცაძე

6. ბარათაშვილის ძეგლის პროექტზე კონკურსის შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გასულ წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კონკურსი თბილისში პოეტის ძეგლის პროექტზე. მას საფუძვლად უნდა დადებოდა „მერანის" იდეა. ძეგლის აღსამართავ ადგილად ნავარაუდევია ნ. ბარათაშვილის ხიდთან მდებარე ბაღი. ესკიზების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნული იყო 1946 წლის 15 მარტი.

კონკურსმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა მოქანდაკეთა და არქიტექტორთა შორის. მათი უმრავლესობა პირველად იღებდა მონაწილეობას კონკურსში. ესკიზები წარმოადგინეს: თ. ი. თოდუამ, ვ. ი. ჩხეიძემ, რ. ა. დავლიანიძემ, ვ. ზ. ფრიდმანმა, ბ. გ. ღოლობერიძემ, გ. ვ. ყიფშიძემ, გ. დ. სესიაშვილმა, ნ. ნ. ქუთათელაძემ, გ. ვ. ბილანიშვილმა, პ. მ. გურგენიძემ, ვ. პ. მარქარიანმა, ი. ა. ნაცვლიშვილმა და სხვ.

ვინაიდან წარმოდგენილი ესკიზები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს, ჟიურომ დაადგინა პირველი და მეორე პრემია არც ერთი ესკიზის ავტორს არ მიეცეს. მესამე პრემია მიეკუთვნა ესკიზ „გრანიტის" ავტორს თეიმურაზ იონას-ძე თოდუას.

ჟიურომ სურვილი გამოსთქვა ჩატარდეს ანალოგიური კონკურსი ოსტატ მოქანდაკეთა მონაწილეობით.

აკ. დევიძე

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის ჯირაჟი

ხარკოვი, 13 აპრილი. (საკადესი). დღეს საღამოს ლისენკოს სახელობის ხარკოვის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობაში დაიწყო მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის მესამე ტირაჟი.

გათამაშებულ იქნა 50 მოგება. 10 ათასი მანეთი მოგება ხვდა 50.931 სერიის № 34 ობლიგაციას, ორი მოგება თითო ხუთ-ხუთი ათასი მანეთი—44.395 სერიის № 45 ობლიგაციას და 58.328 სერიის № 15 ობლიგაციას.

გაზაფხული ფუნიკულორის კლავიშზე

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი თბილისის სიამაყეა. ზაფხულობით მუდამ ადამიანებით მშრომელი ადის პარკში, ისვენებს, დროს კულტურულად ატარებს. ამ ცოტა ხნის წინათ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ინახულეს ეს პარკი. პარკის სიმშვენიერემ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

კიდევ უფრო სასიამოვნო სანახავია ახლა პარკი, ხეებს კვირტები გამოუტანიათ. თეთრად ჰყვავიან ნუშის ხეები. გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. პარკი ემზადება საზაფხულო სეზონისათვის, რომელიც 1 მაისს გაიხსნება.

დამთავრებულია პარკის გამწვანება. გეგმით გათვალისწინებული 12.100 ხის ნაცვლად დარგულია 19.517 ხე და 4.000 ძირი ბუჩქი. კოჯრის ხეივანში დარგულია 3.100 ხე.

პარკის სათბურებში უკვე გამოყვანილია და გადასარგავად მზად არის ათასობით სხვადასხვაფერი ყვავილი. გამწვანებას ხელმძღვანელობენ აგრონომები გეორგელიძე და ცერცვაძე.

შეკეთებული და მხატვრულად გაფორმებულია საკონცერტო და სალექციო დარბაზი, გასართობთა ოთახები. სეზონის განძავლობაში სხვადასხვა საკითხებზე ლექციებს ჩაატარებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები. ესტრადაზე გაიმართება კონცერტები ესტრადის საუკეთესო შემსრულებელთა მონაწილეობით. ნაჩვენები იქნება რჩეული კინოფილმები. კარგად არის მოწყობილი სამავშვო ოთახები, სამკითხველო, მზად არის საბილიარდო ოთახიც.

პარკში ყოველგვარი გასართობია: ტირი, სერსო, საქანელა, კარუსელი და სხვა.

დაწყებულია სანაოსნო აუზის აშენება, ბავშვთა მოედნის მოწყობა. კეთდება ახალი საქანელა. პარკში იქნება მოძრავი სამკითხველო, დამსვენებლები უზრუნველყოფილი იქნებიან გამაგრილებელი წყლებით, ნაყინით და ტკბილეულით. იხსნება კაფე-რესტორანი.

სეზონისათვის მზადებაში ნაკლოვანებებიც არის. თბილვაჭრობის მიერ მოწყობილი წყლებისა და ნაყინის პავილიონები დაზიანებულია და მათს შეკეთებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. შეუკეთებელია ფუნიკულორის ვაგონები.

ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლ. ჰ. ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში ქალაქის კეთილმოწყობის საბრძოლო ამოცანები დასახა. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს მუშაკები ენერგიულად იბრძვიან ამხანაგ ლ. ჰ. ბერიას მითითებათა განსახორციელებლად.

ნ. ბარათაშვილის ძეგლის პროექტზე კონკურსის შედეგები

კონცერტები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სისტემატურად აწყობს კონცერტებს. მათი მიზანია ძუსიკის ცოდნის გავრცელება, მუსიკალური სმენის განვითარება და ქართული ხალხური სიმღერა-ცეკვისადმი სიყვარულის გაღვივება.

ეს ინიციატივა მოიწონეს სახალხო განათლების ორგანოებმა. ისინი დახმარებას უწევენ ფილარმონიას მოსწავლეთათვის კონცერტების მოწყობასა და ორგანიზებულად ჩატარებაში.

14 ასეთი კონცერტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრა ფოცხვერაშვილის მეჩონგურე ქალთა ანსამბლის შესრულებით, უკვე ჩატარდა თბილისის ყველა რაიონში. დაისწრო 12 ათასამდე ბავშვი. ნორჩმა მაყურებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მუსიკისა და განსაკუთრებით ხალხური სიმღერებისადმი.

სასურველია ამ საქმეს მომავალშიც შეეწყონ ხელი სათანადო ორგანოებმა.

ალ. ჯუღნია

დისპუტი რომანზე „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა"

6-9 აპრილს მწერალთა კავშირში შეუდგა დისპუტი აკაკი ბელიაშვილის რომანზე „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა". დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა ლეო ქიაჩელმა. მოხსენება გააკეთა ბესო ჟღენტმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" ფართო ინტერესს იწვევს მკითხველთა წრეებში მგზნებარე პატრიოტიზმის, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის ჩვენებათ. რომანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქართველი და რუსი ხალხების ისტორიულ მეგობრობას. ოსტატურად არის გადმოცემული ასპინძის დიდი ბრძოლა, ბატალური სცენები და ცალკეული ეპიზოდები.

დისპუტში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერმა მუშაკებმა და მწერლებმა: დ. შენგელაიამ, ლ. კალანდაძემ, პროფესორმა ალ. ბარამიძემ, დ. შამათავამ, დოცენტმა ტრ. რუხაძემ, ს, კლდიაშვილ

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

10 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 10 აპრილი. (საკ.). სასამართლოს დარბაზში შემოჰყავთ მოწმე ვესტფოფი—ყოფილი გერმანიის არმიის გენერალი, გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის იმ განყოფილების უფროსი, რომელიც სამხედრო ტყვეების საქმეებს განაგებდა.

ბრალმდებელი მაქსუელ-ფაფი აქვეყნებს მოწმის მიერ 1945 წლის 13 ივნისს მიცემულ ჩვენებას და სთხოვს მას აბზაცობით დაადასტუროს ჩვენების ჩანაწერის სისწორე. მოწმე ადასტურებს თავის ჩვენებას, კერძოდ, ჩვენებას იმის შესახებ, რომ ინგლისელ ტყვე მფრინავ ოფიცერთა დახვრეტასთან დაკავშირებით ბოლოდებული კაპიტელი მის, ვესტფოფის, თანდასწრებით ამბობდა:

„ჩვენ უაღრესად მკაცრ ღონისძიებებს მივიღებთ. მე შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ გაქცეულ პირებს დახვრეტენ. ალბათ, მათი უმრავლესობა უკვე მკვდარია“.

როგორც მოწმის წერილობითი ჩვენებიდან სჩანს, ამ დროს იქ დამსწრე გენერალი გრეგ�ეიცი შეეკითხა ყენვის კონვენციის დამოწმებით გამოეთქვა აზრი ინგლისელი მფრინავი ოფიცრების დახვრეტის წინააღმდეგ. მაშინ კაპიტელმა განაცხადა: „მე ფეხებზე მკიდია ყველაფერი. ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ ფიუერერის თანდასწრებით და ამის შეცვლა არ შეიძლება“.

შემდეგ მოწმე ვესტფოფი წერილობითს ჩვენებაში ადასტურებს, რომ შეპყრობილი ინგლისელი მფრინავები პოლიციელებმა დახვრიტეს.

დაკითხვას ბოლოს მაქსუელ-ფაფი არკვევს, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდლობამ ინგლისელი მფრინავების გაქცევის შემდეგ გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ, როცა გაქცეულ სამხედრო ტყვეებს შეიპყრობდნენ, ისინი უშიშროების პოლიციას ან გესტაპოს უნდა გადასცემოდნენ.

შემდეგ ვესტფოფის დაკითხვას შეუდგა დამცველი ნელტე.

დამცველი ნელტე ეკითხება მოწმეს: „მართალია თუ არა, რომ ფელდმარშალმა კაიტელმა ტელეფონით დაგირეკათ და გითხრათ, რომ საჯარო საქმეთა მინისტრმა კარგად იცის მთელი ეს საქმე და რომ მან ნოტა უნდა შეადგინოს?“.

მოწმე ადასტურებს ამას.

ბრალდებულ კალტენბრუნერის დამცველი ადვოკატი კაუფენი და ბრალდებულ გერინგის დამცველი ადვოკატი შტამერი მოწმეს აძლევენ რამდენიმე კითხვას, რომლებიც დაკავშირებულია მათი მარწმუნებლების საქმიანობასთან. ამის შემდეგ მიკროფონთან მიდის გენერალური შტაბისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დამცველი ლატერნზერი. დამცველის მიერ მიცემულ კითხვებზე მოწმის პასუხიდან არკვევა, რომ ვესტფოფი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მოწაფლე.

მოწმის დაკითხვას იწყებს სსრ კავშირის მხრივ მთავარი ბრალმდებლის მოადგილე პოლკოვნიკი პოკროვსკი.

ბრალმდებელი: რა იცოდით თქვენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ თვით ბანაკებში და იმ დროს, როდესაც სამხედრო ტყვეები ერთი ბანაკიდან მეორეში გადაყავდათ?

მოწმე: 1943 წლიდან დაწყებული, როდესაც მე მთავარსარდლობაში ვიყავი, რუს სამხედრო ტყვეებს ისე არ ეპყრობოდნენ, როგორც ყენევის კონვენცია მოითხოვდა.

ბრალმდებელი: მაშასადამე, თუ სწორად ვაფიგე თქვენი სიტყვები, თქვენ სთქვით, რომ განყოფილებაში თქვენს მისვლამდე, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც თქვენ მიიღეთ, საბჭოთა სამხედრო ტყვეებს ისე არ ეპყრობოდნენ, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი მოითხოვს?

მოწმე: მათ ისე არ ეპყრობოდნენ, როგორც ყენევის კონვენცია მოითხოვდა.

ბრალმდებელი: სხვანაირად რომ ვთქვათ, არა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად.

პოლკოვნიკ პოკროვსკის შემდეგს კითხვაზე მოწმე ვესტფოფი ადასტურებს, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობაში იყო სპეციალური ჯგუფი, რომელიც განაგებდა რკინიგზებით სამხედრო ტყვეების გადაყვანის საკითხებს.

ბრალმდებელი: მე მოგეცით კითხვა, იცით თუ არა, რა პირობებში სწარმოებდა ეს გადაყვანა? იცით თუ არა, რომ ამ გადაყვანის დროს შიმშილით და სიცივით იხოცებოდა ათასობით სამხედრო ტყვე?

მოწმე, როგორც წინათ, ცდილობს თავიდან აიცილოს შესაძლებელი ბრალდება ამ დანაშაულობაში და აცხადებს, რომ გადაყვანა, რომლისაც სამხედრო ტყვეები იხოცებოდნენ, გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობაში მის მისვლამდე ხდებოდა.

ბრალმდებელი ამბ. პოკროვსკი ტრიბუნალს უდგენს ნამდვილ დოკუმენტს, რომელიც დასათაურებულია „დოკუმენტალური ჩანაწერი სამინისტროს დირექტორის დოქტორ მანსფელდის, მუშახელის გამოყენების გენერალური რწმუნებულის მოხსენების შესახებ მუშახელის გამოყენების საერთო საკითხის თაობაზე“. თამბირი, რომელზეც გაკეთებულ იქნა ეს მოხსენება, შესდგა 1942 წლ. 19 თებერვალს სახელმწიფო ეკონომიურ პალატაში. სხვებთან ერთად თამბირს დაესწრო შეიარაღებული ძალების შტაბის სამხედრო ეკონომიკისა და მრეწველობის სამმართველოს წარმომადგენელი. საბჭოთა ბრალმდებელი აქვეყნებს ამ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს მტკიცებას, რომ იმ დროს არსებული სიძნელენი მუშახელის გამოყენების საკითხში არ წამოიჭრებოდნენ, გერმანელებს რომ თავის დროზე გადაეწყვიტათ რუსი სამხედრო ტყვეებს დიდი მასშტაბით გამოყენება. შემდეგ დოკუმენტში ლაპარაკია ტყვეობაში მრავალი რუსის დალუპვის შესახებ და რომ 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის იანვრამდე ნახევარი მილიონი რუსი მოკვდა. პოლკოვნიკი პოკროვსკი ტრიბუნალის ყურადღებას მიაპყრობს დოკუმენტის შემდეგ ჩანაწერს: „ამ რუსების გამოყენებას აძნელებს მხოლოდდამხოლოდ ტრანსპორტის საკითხი. უაზროა ამ მუშახელის გადაყვანა ღია ან გაუთბობელი დახურული სატვირთო ვაგონებით, რომ დანიშნულების ადგილას გვამები გადმოვტვირთოთ“.

ბრალმდებელი ეკითხება მოწმეს, გაუგონია მას თუ არა რაიმე ასეთი გადაყვანის შესახებ, როდესაც შელონიდან ცოცხალი ადამიანების ნაცვლად გვამები გადმოჰქონდათ. ვესტფოფი აკვლავ იმეზეზებს, „არაფერი ვიცი“ და აცხადებს, რომ ეს გადაყვანა თითქოს არ შედიოდა მთავარი სარდლობის კომპეტენციაში, რომ თითქოს ამას აკეთებდნენ საფრონტო ორგანიზაციები.

დასასრულ პოლკოვნიკი პოკროვსკი ტრიბუნალის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დოკუმენტალური ჩანაწერი გაკეთებულია გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობის სამხედრო ეკონომიკის სამმართველოს ბიერ.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

10 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 10 აპრილი. (საკ.). ტრიბუნალის 10 აპრილის საღამოს სხდომის დასაწყისში დარბაზში დასაკითხავად შემოიყვანეს მოწმე მაქს ვილენი, ბრესლაუს სისხლის სამართლის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, სს ობერშტურბანფიურერი. ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი რობერტსი აქვეყნებს ვილენის ჩვენებათა ჩანაწერებს, რომლებიც ჩაწერილია მისი დაკითხვის დროს ლონდონში 1945 წლის აგვისტოსა და სექტემბერში და რომლებიც შეეხებიან გერმანელებს მიერ ტყვე ინგლისელი მფრინავების დახვრეტას.

დაკითხვაზე, როგორც ეს სჩანს ჩვენებათა ამონაწერებიდან, ვილენი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ გიიცა ტყვეობიდან 80 ინგლისელი ოფიცერი, როგორ შეიპყრეს ისინი გერმანიის სხვადასხვა რაიონში და დახვრიტეს. ბრალება გამეცეული მფრინავების შესახებ გაცემული იყო უშუალოდ კალტენბრუნერის მიერ გესტაპოდან ჰიტლერის განკარგულებით. ინსტრუქციაში მფრინავთა მკვლელობის შესახებ ნაბრძანები იყო დაემოწმებინათ, რომ დახვრეტა მოხდა „გაქცევის ცდისას“. მოწმე ვილენი თავის ჩვენებაში აცხადებს აგრეთვე, რომ, მისი აზრით, ინგლისელი მფრინავების დახვრეტა მოხდა სამხედრო ხელისუფალთა, ესე იგი კაიტელის მითითებით, და რომ გერინგსაც არ შეეძლო არ სცოდნოდა ბრძანება ამ დახვრეტის შესახებ, რადგანაც ტყვე მფრინავები იმყოფებოდნენ გერმანიის სამხედრო-საპყრო ძალთა გამგებლობაში არსებულ ბანაკში.

რობერტსის შემდეგ კითხვები ტყვე მფრინავების დახვრეტის შესახებ მოწმეს მისცეს ბრალდებულების გერინგის, კალტენბრუნერისა და კაიტელის დამცველებმა.

მოწმე ვილენი ეკითხება დამთავრდა დამცველის მიერ ბრალდებულ კაიტელის საქმეზე მასალების წარდგენით. ტრიბუნალის თავმჯდომარის ლორენსის წინადადებით ბრალდებულ რიბენტროპის დამცველი ადვოკატი ჰორნი შეუდგა დოკუმენტების წინათ დაწყებულ წარდგენას თავისი მარწმუნებლის საქმის შესახებ. იგი შეუდგა დოკუმენტების მრავალი ამონაწერის გამოქვეყნებას პოლონეთის საგარო საქმეთა მინისტრ ბეკთან რიბენტროპის მოლაპარაკების შესახებ იმ მიზნით, რათა დაემტკიცებინა, რომ თითქოს რიბენტროპი ისწრაფვოდა „მშვიდობიანი გზით“ მოეგვარებინა პოლონეთთან სადავო პრობლემები. წაკითხული დოკუმენტების არადამჯერებლობის გამო ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი გამოვიდა მათი გამოქვეყნების წინააღმდეგ. ბრალდების მთავარმა წარმომადგენელმა სსრ კავშირისაგან ამბ. რუდენკომ მხარი დაუჭირა დოდს. ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორენსმა წინადადება მისცა ჰორნს შეეწყვიტა ამ დოკუმენტების წარმოდგენა.

საღამოს სხდომის მეორე ნახევარში რიბენტროპის დამცველი ჰორნი განაგრძობდა ბრალდებულ რიბენტროპის დასაცავად დოკუმენტების წარდგენას და დაამთავრა მათი წარდგენა. ამ დოკუმენტთა შორის ახალი სრულიად არაფერი იყო, ისე როგორც ახალი სრულიად არაფერი იყო დამცველის მტკიცებაში. დამცველი ცალმხრივად აშუქებდა მოვლენებს, ერთმანეთთან დაუკავშირებლად მოჰყავდა დოკუმენტებიდან ცალკე ფრაზები და იმეორებდა ჰიტლერული პროპაგანდის მტკიცებას რიბენტროპის რაღაც მისწრაფების შესახებ მიეღწია პოლონეთთან გერმანიის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

დამცველი გადავიდა ბელგიაზე, ჰოლანდიასა, ლუქსემბურგსა, დანიასა და ნორვეგიაზე გერმანიის თავდასხმის ისტორიის მოთხრობაზე და გაიმეორა ძველი გაცვეთილი და ცრუ ზღაპრები ჰიტლერული პროპაგანდისა, რომელიც ცდილობდა გაემართლებინა ავაზაკური აგრესია დასახელებული ქვეყნების წინააღმდეგ.

ზოგიერთი ტექნიკური დეტალის გამორკვევის შემდეგ, რომლებიც კალტენბრუნერის საქმის წარდგენას ეხებიან, ლაიხტერა ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

11 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 11 აპრილი. (საკ.). დღეს დილის სხდომაზე ტრიბუნალმა დაიწყო ბრალდებულ კალტენბრუნერის საქმის მოსმენა.

განაცხადა რა, რომ შეგნებული აქვს წაყენებული ბრალდების სიმძიმე, და ვრცლად მოიყვანა რა თავისი ავტობიოგრაფია, კალტენბრუნერმა დაიწყო ჩვენების მიცემა. კალტენბრუნერის სიტყვით, 1937-1938 წლებში მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბრალდებულ ზაისინკვარტთან. როგორც ბრალდებული შემდეგ აჩვენებს, იგი გერმანიასთან ავსტრიის „შეერთების“ შემდეგ დაინიშნა სს-ის ხელმძღვანელად ავსტრიაში, მიიღო სს-ის უმაღლესი წოდება და ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მისცა რა ეს ჩვენება, ბრალდებულმა, რათა შვენებინა ჩვენების შთაბეჭდილება, მყისვე განაცხადა, რომ უშიშროების მთელ სამსახურს ავსტრიაში ბერლინი ხელმძღვანელობდა და რომ მის, კალტენბრუნერის, საქმიანობას საპოლიციო საკითხებში მხოლოდ „წარმომადგენლობითი ხასიათი“ ჰქონდა. ბრალდებული ცრუობს და ამტკიცებს, თითქოს იგი ავსტრიაში ინტერესს იჩენდა უმთავრესად მხოლოდ საინფორმაციო სამსახურისადმი და მოხსენებებს უგზავნიდა ჰიტლერს.

11 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 11 აპრილი. (საკ.). ტრიბუნალმა, ვიდრე განაახლებდა ბრალდებულ კალტენბრუნერის დაკითხვას, რაც დილის სხდომაზე დაიწყო, ბრალდების ამერიკელი წარმომადგენლის წინადადებით მოისმინა წერილობითი ჩვენებანი, რომლებიც დაცვის მოწმეებმა—გესტაპოს ყოფილმა მოხელეებმა მილდნერმა და ჰეტლმა მისცეს ბრალდების დამატებითი კითხვების პასუხად. მილდნერი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ბრძანებანი სიკვდილით დასჯის შესახებ საკონცენტრაციო ბანაკებში მოდიოდა უშიშროების საიმპერიო სამმართველოდან, რომ ამ ბრძანებათა ერთადერთი ავტორი იყო კალტენბრუნერი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა საკონცენტრაციო ბანაკებში 1944 წელს.

ბრალდებული კალტენბრუნერი უპასუხებს თავისი დამცველის კითხვებზე ამერიკელი ბრალმდებლის პოლკოვნიკ ემინის მიერ წაკითხულ მილდნერისა და ჰეტლის წერილობითი ჩვენებების შესახებ, დაჟინებით განაგრძობს მისთვის წაყენებულ ბრალდებათა უარყოფას და ყველაფერს ჰიმლერს აბრალებს.

კალტენბრუნერი იქამდე მიდის, რომ აცხადებს, თითქოს მან სასამართლოში პირველად შეიტყო ტყვედ წაყვანილი „კომანდოსების“ დახვრეტის შესახებ არსებული ბრძანებანი და თითქოს ჰიმლერის ბრძანება დანიაში ებრაელთა დევნის შესახებ გაგზავნილი იყო კუთვნილებისამებრ მის, კალტენბრუნერის დაუკითხავად.

ბრალდებული განაგრძობს თავის დანაშაულობათა კვალის მიჩქმალვას და ამტკიცებს, თითქოს მან, უშიშროების საიმპერიო სამმართველოს უფროსმა, იცოდა გერმანიაში მხოლოდ ცამეტი საკონცენტრაციო ბანაკის არსებობა.

მთელი საღამოს სხდომის განმავლობაში დამცველ კაუფმანის მიერ დაკითხული კალტენბრუნერი კვლავ განაგრძობდა მის მიერ ჩადენილი ყველა სხვა დანაშაულის უარყოფას.

ბრალდებული ყოველნაირად ცდილობს დაანტაკოს, რომ არავითარი ხელმე არა ჰქონდა არა მარტო საკონცენტრაციო ბანაკებსა და სიკვდილის ბანაკებთან, არამედ იმ ადამიანებთანაც, რომლებიც ბანაკებში მასობრივ მკვლელობას ახორციელებდნენ. მას თავი ისე უჭავია, თითქოს არ იცნობს ჰიტლერულ ჯალათს აიჰმანს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ებრაელი მოსახლეობის გაჟლეტა. იგი „ვერ იცნობს“ თავის უშუალო თანაშემწეებსაც კი, რომლებიც ისე არიან სახელგატეხილნი, რომ შეუძლებელია მათ დანაშაულობათა გამართლება.

11 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 11 აპრილი. (საკ.). ტრიბუნალმა, ვიდრე განაახლებდა ბრალდებულ კალტენბრუნერის დაკითხვას, რაც დილის სხდომაზე დაიწყო, ბრალდების ამერიკელი წარმომადგენლის წინადადებით მოისმინა წერილობითი ჩვენებანი, რომლებიც დაცვის მოწმეებმა—გესტაპოს ყოფილმა მოხელეებმა მილდნერმა და ჰეტლმა მისცეს ბრალდების დამატებითი კითხვების პასუხად. მილდნერი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ბრძანებანი სიკვდილით დასჯის შესახებ საკონცენტრაციო ბანაკებში მოდიოდა უშიშროების საიმპერიო სამმართველოდან, რომ ამ ბრძანებათა ერთადერთი ავტორი იყო კალტენბრუნერი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა საკონცენტრაციო ბანაკებში 1944 წელს.

ბრალდებული კალტენბრუნერი უპასუხებს თავისი დამცველის კითხვებზე ამერიკელი ბრალმდებლის პოლკოვნიკ ემინის მიერ წაკითხულ მილდნერისა და ჰეტლის წერილობითი ჩვენებების შესახებ, დაჟინებით განაგრძობს მისთვის წაყენებულ ბრალდებათა უარყოფას და ყველაფერს ჰიმლერს აბრალებს.

კალტენბრუნერი იქამდე მიდის, რომ აცხადებს, თითქოს მან სასამართლოში პირველად შეიტყო ტყვედ წაყვანილი „კომანდოსების“ დახვრეტის შესახებ არსებული ბრძანებანი და თითქოს ჰიმლერის ბრძანება დანიაში ებრაელთა დევნის შესახებ გაგზავნილი იყო კუთვნილებისამებრ მის, კალტენბრუნერის დაუკითხავად.

ბრალდებული განაგრძობს თავის დანაშაულობათა კვალის მიჩქმალვას და ამტკიცებს, თითქოს მან, უშიშროების საიმპერიო სამმართველოს უფროსმა, იცოდა გერმანიაში მხოლოდ ცამეტი საკონცენტრაციო ბანაკის არსებობა.

მთელი საღამოს სხდომის განმავლობაში დამცველ კაუფმანის მიერ დაკითხული კალტენბრუნერი კვლავ განაგრძობდა მის მიერ ჩადენილი ყველა სხვა დანაშაულის უარყოფას.

ბრალდებული ყოველნაირად ცდილობს დაანტაკოს, რომ არავითარი ხელმე არა ჰქონდა არა მარტო საკონცენტრაციო ბანაკებსა და სიკვდილის ბანაკებთან, არამედ იმ ადამიანებთანაც, რომლებიც ბანაკებში მასობრივ მკვლელობას ახორციელებდნენ. მას თავი ისე უჭავია, თითქოს არ იცნობს ჰიტლერულ ჯალათს აიჰმანს, რომელსაც დავალებული ჰქონდა ებრაელი მოსახლეობის გაჟლეტა. იგი „ვერ იცნობს“ თავის უშუალო თანაშემწეებსაც კი, რომლებიც ისე არიან სახელგატეხილნი, რომ შეუძლებელია მათ დანაშაულობათა გამართლება.

ამერიკული პრესა მიხაილოვიჩის გამცემლობის შესახებ

ჯაშინგტონი, 14 აპრილი. (საკ.). გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა ორი ვრცელი წერილი, რომელთა ავტორები იშოწყებენ ლრაჟე მიხაილოვიჩის, როგორც გამცემის სამართალში მიცემას.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ გამოაქვეყნა „ტაიმის“ ოუგოსლავიელი სამხედრო კორესპონდენტის პრიბიშევიჩის დიდი სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიხაილოვიჩის გამცემლობის დამამტკიცებელი საბუთები აშკარაა და რომ 1942 წელს მიხაილოვიჩი გერმანელებთან და იტალიელებთან თანამშრომლობდა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში. სტატიაში აღნიშნულია, რომ 1944 წლის 16 სექტემბერს მიხაილოვიჩის დაზვერვის უფროსმა ინტერვიუში აღიარა, რომ იგი ესწრებოდა მიხაილოვიჩისა და ბელგრადში რიბენტროპის წარმომადგენელ შტერკერის თანთბრებს სერბიულ სოფელ ბადოვინეში და რომ შემდეგ კვირას მიხაილოვიჩმა 5.500 გერმანული შაშხანა მიიღო. სტატიაში ნათქვამია, რომ ინგლისს დაზვერვა 1941 წლიდან სავსებით ინფორმირებული იყო მიხაილოვიჩის საქმიანობის შესახებ სწორედ ისევე, როგორც ეს ამერიკის სტრატეგიული ინფორმაციის ბიერომაც იცოდა 1943 წლიდან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების გაერთიანება გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში

ბერლინი, 13 აპრილი. (საკ.). ამ უკანასკნელ თვეებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის რიგებში წარმოიშვა ფართო მოძრაობა ორივე პარტიის ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანების სასარგებლოდ.

გაზეთები „ტეგლიხე რუნდშაუ“, „დოიჩე ფოლკსციტუნგი“ და სხვები იუწყებიან, რომ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ხუთი პროვინციისა და ფედერალური მხარის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის საოლქო კონფერენციების გადაწყვეტილებებით ძველ ალმოსავლეთ გერმანიაში (გარდა დიდი ბერლინისა) ორივე მუშათა პარტიის გაერთიანება უკვე დამთავრებულია.

გაზეთების ცნობების თანახმად, მიღებულია გადაწყვეტილებანი ბრანდენბურგისა და საქსონიის პროვინციებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის ერთიან სოციალისტურ პარტიად გაერთიანების შესახებ. ქალაქ ჰალეში შესდგა მშრომელთა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე კაცმა. მიტინგი გახსნა გერმანიის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბერნჰარდ კენენმა მან გამოაქვეყნა ჰამბურგის გემთსაშენი ვერფის მუშათა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ისინი რწმენას გამოსთქვამენ, რომ მუშაოა კლასის ერთიანობა მალე გერმანიის დასავლეთ ზონაშიც განხორციელდება. იგივე აზრი გამოსთქვეს ჰამბურგისა და ჰანოვერის მშრომელთა წარმომადგენლებმა, რომლებიც მიტინგზე გამოვიდნენ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის სახელით გამოსულმა ვალტერ ულბრიხტმა იმედი გამოსთქვა, რომ „შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთს ოლქშიც, შტუტგარდსა და ფრანკფურტშიც მუშათა მასები ერთიანი იქნებიან“.

ძიტინგის შემდეგ მონაწილეებმა დროშებითა და პლაკატებით გაიარეს ქალაქის ქუჩები.

ქალაქ შვერინში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის მკვლენბურგ-პომერანიის მხარის 1.500 დელეგატმა, რომელებსაც ცალცალკე ჰქონდათ სხდომები თავიანთ კონფერენციებზე, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის ერთიან სოციალისტურ პარტიად საბოლოო გაერთიანების შესახებ. კონფერენციაზე გამოვიდა ჰამბურგის მშრომელთა წარმომადგენელი, რომელიც შეჩერდა იმ საკითხზე, თუ რა სიძნელეები ეღობებათ ანტიფაშისტ მუშებს რეაქციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც, ორატორის სიტყვით, დასავლეთში სულ უფრო და უფრო იკრებენ ძალებს. საღამოს შესდგა შვერინის მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ახალი პარტიის წარმომადგენელმა შეკრებილთ აცნობა, რომ მუშათა პარტიების გაერთიანება მეკლენბურგში დამთავრებულია.

გერმანიის კომპარტიის საქსონიის ფედერალური მხარის უკანასკნელი კონფერენცია შესდგა 6 აპრილს დრეზდენში. 612 დელეგატმა ერთხმად გამოსთქვა ხმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაუყოვნებლივ გაერთიანების სასარგებლოდ. ამავე დროს დრეზდენში მიმდინარეობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია, რომლის 617 დელეგატმა ავრეთვე მიიღო რეზოლუცია ორივე მუშათა პარტიის გაერთიანების შესახებ. 7 აპრილს ყველა 1.229 დელეგატი, რომლებიც მუშათა პარტიების ნახევარ მილიონამდე წევრს წარმოადგენენ, შეეერია ერთიანი პარტიის პირველ კონფერენციაზე. დელეგატებმა მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ ერთიან სოციალისტურ პარტიას საქსონიის ფედერალურ მხარეში.

ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნის შესახებ იუწყებიან ავრეთვე გოთადან. მას შემდეგ, რაც 6 აპრილს ცალცალკე სხდომებზე შეკრებილმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის კომპარტიის ტურინგიის მხარის კონფერენციებმა ძალიან გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ, გოთას საქალაქო მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოსთქვა ვილჰელმ პიკმა.

რაინისა და რურის ოლქების მშრომელთა საბელით კონფერენციას მიესალმა ოპენჰაიზერი. მან სთქვა: „ჩვენ არ დავშშვიდებდით, სანამ დასავლეთში არ შეგქმნით ერთიანობის სოციალისტურ პარტიას“.

ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგ-ჩინელ-ოლანდიელ-ბელგიელ-ავსტრალიელ-ახალზელანდიელ-ინდოელ-ბრაზილიელ-ეგვიპტელ-ეთიოპიელ-ბერძენ-ნორვეგიელ-ჩეხ-ოლანდიელ-ფილიპინელ-ბელორუსელ-ბულგარელ-ალბანელ-ბოლივიელ-ბოლონელ-ბურმიელ-ბიელორუსელ-ბრაზილიელ-ვენელ-ვენესუელ-ეკვადორელ-ეთიოპიელ-ეგვიპტელ-ინდოელ-ირანელ-ირლანდიელ-ისლანდიელ-ინდონეზიელ-ინგლისელ-ინდიელ-ინდონეზიელ-ირანელ-ირლანდიელ-ისლანდიელ-ეგვიპტელ-ეთიოპიელ-ეკვადორელ-ვენესუელ-ვენელ-ბრაზილიელ-ბიელორუსელ-ბურმიელ-ბოლონელ-ბოლივიელ-ალბანელ-ბულგარელ-ბელორუსელ-ბელგიელ-ავსტრალიელ-ახალზელანდიელ-ინდოელ-ბრაზილიელ-ეგვიპტელ-ეთიოპიელ-ბერძენ-ნორვეგიელ-ჩეხ-ოლანდიელ-ფილიპინელ-ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგ-ჩინელ-ოლანდი